

1950/2



ქვეყნის გეგმა

1950/2 26

1950 სექტემბერი №9



# პ ი ო ნ ი ე რ ი

№ 9 სექტემბერი 1950

საპარტივლოს ალკა ცენტრალური კომიტეტის  
შოკვლეთვიური საბავშვო შუიანალი

გამომცემლობა


„კომუნისტი“

ფელიწადი XXIV

ПИОНЕРИ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии



პირველი სექტემბრის დღილია. მამე ქალთა საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე გოგონები: ნ. კუპრაძე, ნ. ხარაძე, მ. გელაძე, ს. თიქანაძე და მ. გოგილოვა არაღვიგების პერიოდში შედგენილი მერხარითმებითა და კოლექციებით ხელში მშობლიურ სკოლისკენ მიეშურებიან.



# დაეწაფეთ ცოდნის წყაროს

ცოდნა სიკვდილზე შენია,  
მულამ შენთანა მყოფელი.  
დ. გუარამიშვილი

ღირფასო ბავშვებო! თქვენთვის იყო მოწყობილი სანატორიუმები, ბანაკები და დასასვენებელი სახლები საუკეთესო კურორტებზე. თქვენთვის იყო მოწყობილი გამაჯანსაღებელი მოედნები ქალაქად. თქვენთვის შეაკეთეს სასკოლო შენობები, სასკოლო აუჯი. ლაზათი და სისუფთავეა ამჟამად სკოლაში. თქვენთვის გამოიცა სახელმძღვანელოები, გაკეთდა სასწავლო ნივთები. მდიდარია სახელმძღვანელოებით ჩვენი წიგნის მდივნები. თქვენ ხელს გიწყობდნენ, რომ შინა-არსიანად გაეტარებინათ ზაფხული, მოგეკრიფათ ძალღონე, გაზრდილიყავით გონებრივად, გამაგრებულიყავით ფიზიკურად. სახარულით სავსე იყო თქვენი დასვენება... ახლა კი შრომის დროა.

დადგა ახალი სასწავლო წელი. სკოლამ მშობლიური სიყვარულით გაგიღოთ თავისი კარები. თქვენ კვლავ დაეწაფეთ სწავლას. ცოდნას. ცოდნა ხომ ხელშეუხებელი სიმდიდრეა უძვირფასესი. სწავლა გონებითი სინათლეაო, უთქვამს ჩვენს სახელოვან პედაგოგს და მწერალს ი. გოგებაშვილს.

ღონიერი და ჭირთამძლევი ის არისო, ამბობს დიდი ილია, ვისაც ქუთა ცოდნით გაუმართავს, ცოდნით აუყვავებიაო, ვისაც ქუთა ცოდნით გაუღუსია, ცოდნის ჩარბზე გაუმართავსო. ცოდნას, კი იძლევა სკოლა — ეს განათლების კერა.

ძვირფასო ბავშვებო! სკოლაში მდიდრებით თქვენ გონებითა და ზნეობით, სკოლაში ეუფლებით მეცნიერების საფუძვლებს, სკოლაში სწავლობთ შრომას და მშრომელთა დაფასებას.

თქვენ, პატარა პატრიოტებს, საშობლო გაეაღოთ, რომ შეიარაღდეთ ცოდნით. მხოლოდ მცოდნე და საშობლოს ერთგული შვილი გამოადგება ქვეყანას.

თქვენთვის ზრუნავს საშობლო, პარტია და ხელისუფლება, პირადად დიდი სტალინი. ეს მშობლიური მზრუნველობა და ამაგი უნდა დაათვალით, მას უნდა უბასუხობთ ბეჯითი, მუყაითი სწავლით, დაუხარული შრომით. თქვენ წარჩინებული სწავლით უნდა აამაღლოთ სკოლის სახელი, პარტია და ღირსება — ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ ყოველგვარ ჩამორჩენილობას. ეცადეთ, არავინ ჩამორჩეს კლასში, არავის მიეცეს გაზაფხულზე საშემოდგომო გამოცდები. მულამ გახსოვდეთ, ბავშვებო, დიდი ლენინის ახდერძი: „სწავლა, სწავლა და სწავლა“.

გახსოვდეთ უყვადეი სიტყვები, თქმული მშობლიური სტალინის მიერ ჯერ კიდევ თვისი მოწაფეობის დროს:

აყვადი, ტურფა ქვეყანავ,  
ილხინე, ქართველთ მხარეო,  
და შენც, ქართველო, სწავლითა  
საშობლო გაახარეო!

ისწავლეთ ბეჯითად, მონდომებით, თქვენი აღმზრდელი მასწავლებლები არათერს დაიშურებენ იმისათვის, რომ თქვენ ხელმძღვანელობა და დახმარება გაგიწიონ ამ დიდი ამოცანის შესრულებაში.

### 3. პარლიამენტი.

საქართველოს სსრ დამხატვრებულ მასწავლებლებს, ლენინის ორდენისა.





# პირველი ზარი



ოგი, შეხე, ჩვენი სკოლა  
რა ლამაზად შეუღლებათ,  
თითქოს ამბობს:—მობრძანდითო  
ცოდნის წყარო ვისაც გნებავთ!  
შეხე, შეხე ამწვანებულ  
და აქოჩრილ იმ ჩვენს ნარგავს,  
სკოლის ეზო როგორ კოხტად  
მოურთავს და მოუქარგავს!  
როგორ ბრწყინავს ღერეფანი,  
რა ნათელი დარბაზია,  
დღეს აქ თითქოს ყველაფერი  
უფრო მეტად ლამაზია.  
გროვდებიან პატარები,  
შორს გაისმის ქრიამულა,

თან ყვებიან, ვინ სად როგორ  
გაატარა ეს ზაფხული.  
აგერ, ზარიც დაირეკა,  
კლასს ავსებენ მალხაზები,  
მომცინარე სახეებით  
საუბრობენ გატაცებით.  
უცბად შეწყდა ქრიამული,  
ნეტავ რისთვის, ან რა ხდება?  
ყელსახვევებს ისწორებენ,  
ყველა ბავშვი ფეხზე დგება;  
თმაქალარა მასწაელებელს  
სალამი და გამარჯვება!  
ბავშვები კლასს,—კლასი ბავშვებს  
მზიარულად ეგებება!

ქ. გომიკაშვილი


# რ თ ვ ე ლ ი

რთველზე ოცნებით ტკბებოდი,  
ცხადათ იხილე, და ტკბები!  
გზიბლავენ ფერიტ, გემოთი  
ლოყაწითელი ატმები  
მგონი სიზმარშიც ვერ ნახო  
გორის ატმებზე ტკბილიო,  
შენც ლამაზი ხარ, ვენახო,  
კიგოზე დაგრებილიო.  
ზღვაურ გაშლილი ზვარია,  
შეხარის დიდი, პატარა;  
რთველი დგას, კარგი დარია,  
მიწა სხივებით გამთბარა.

კრეფენ რქაწითელს, საფერავს,  
მტენენებს ეტრფიან ბავშვები.  
ვიღრე ნიავი დაბერავს,  
მზე აქერს ავაშავშებით.  
ხედავ: ვეება მარანთან  
ყურძნით მომდგარან ურმები,  
ჩქელს ატენური ღვარადა,  
წურავენ კოლმეურნენი.  
სხდებიან პურის კამადა,  
ღვინო წინ უდგათ ხელადით.  
პირველი თასით თამადამ  
ადიდა დიდი ბელადი.

პირკაშ ქარული





# პატარა გმირები

დავით ქაჩაბაძე

მ თ ბ რ ბ ა

ნაწ. ნ. შალიკაშვილისა

1905 წლის სექტემბერი იყო. გემსაშენის უბნის დაწყებითი სკოლის მოსწავლე ვანია პოდბედოვი ადრე მისულყო კლასში და, მერხზე იდაყვდაყრდნობილი, ჩაფიქრებული მისწერებოდა კარებს.

პეტია გეინენკომ თავისი მეგობარი დალონებელი რომ დაინახა, შეეკითხა:

— რა დაგეპართა, ვანია, ავად ხომ არა ხარ?

ვანიამ კლასის ამხანაგებს თვალი გადაავლო და ყველას გასაგონად უქასუხა:

— პო, კბილის ტყვილი მაწუხებს საშინლადა! — მერე სხვისთვის შეუჩინველად მეგობარს თვალი ჩაუყრა და ანიშნა: გავიღეთ კლასიდან, მინდა საყურადღებო რამე გითხრაო.

როცა ტალანის ბნელ კუთხეში განმარტოვდნენ, ვანიამ ნაწყვეტ-ნაწყვეტად დაიწყო:

— წუხელ ჩვენსა ჩხრეცა იყო... მამაჩემი...

— უპოვნეს რამე? — შეაწყვეტინა პეტია.

— არა, მაგარამ...

— წოიყვანეს?

— პო, — მიღუფო ვანიამ თავის ქნევიტ.

— მაშ, ხვალ პოლკში ხელუარიელებს მოგებოდა წასვლა?...

— ხვალ კი, მაგარამ შემდეგი კვირისათვის უთუოდ უნდა მოვაგვაროთ! ერთხელ მამაჩემმა გამაფრთხილა: შეილო, თუ რამე დამპართოს, სტიობა ბერეცონის მიმართო... ის ხომ დედაშენის ძმას! ხვალ პოლკიდან რომ გამოვალთ, მე და შენ ერთად წავიდეთ მასთან: ალბათ იმან იცის, როგორ მოიქცეს! მეგობრებმა მოითათბირეს და, სკოლის ხარი რომ დაირეკა, ორივენი ერთად კლასში შევიდნენ.

ვანიას მამა ვასილ პოდბედოვი სევასტოპოლის გემსაშენში მუშაობდა. სევასტოპოლის მუშათა რევოლუციური კომიტეტის მიერ მას დავალებული ჰქონდა პრობაგანდა ეწარმოებინა ბრესტის პოლკის ჯარისკაცებში. გათენების წინ, როდესაც გუშაგებს რული მოეცილებოდათ, არალეგალურ ფურცლებს იგი პოლკის გალავნის შიგნით ჰყრიდა. ჯარისკაცთა რიგებში ცოტანი არ იყვნენ რევოლუციის თანამგრძნობნი. ისინი კრეფდნენ ამ ფურცლებს, კითხულობდნენ და ამხანაგებსაც გადასცემდნენ. ამ ამბავმა პოლკის მეთაურის ყურამღე მიაღწია. მან ბრძანება გამოსცა, რომ გუშაგებს ყოველდღილით „კრამოლნიკური“\* ფურცლები აეკრიფათ და მორიგე ოფიცრისათვის ჩაებარებინათ. მამინ მუშა პოდბედოვმა სევა ხერს მიმართა:

ბრესტის პოლკის ეკლესიაში გალობდა ჯარისკაცთა და გემსაშენის უბნის სკოლის მოსწავლეთაგან შემდგარი გუნდი. მათში ჩვენი ნაცნობი ორი მეგობარიც ერთია.

ვანიას და პეტიას კარგ ხმასთან ერთად მახვილი გონება და მარჯვე ხელებიც ჰქონდათ, რომელთა შემწეობით აკრძალული ლიტერატურა მათი ჯიბეებიდან ჯარისკაცთა მუნდირის ჯიბეებში მოგჭეცოდა ხოლმე.

მეორე დღეს მეგობრები სტიობა ბერეცონისთან წავიდნენ.

იგი ქალაქის მეორე მხარეს სცხოვრობდა, ბალაკლავისაყენ მიმავალი გზის პირად, სადაც მუშებს პატარა გარეუბანი ანუ „სლაბოდა“\* გაუშენებინათ. ბინის უზომო ქირით შეწყუხებული მუშები იქ იშენებდნენ კობებს აღვილობრივი ქვისა და თიხისაგან.

ბავშვებს ბიცილია ავდოტია გამოეგება და სახლში შეიპატოცა.

\* საამბობო.

— მშვიდები ექნებით, თითო ჰქონა რძე და ლილი!

— ბიკოლა, ჩვენ საქმეზე მოვედით, — დაიწყო ვანიამ: — ბიძია სტიოპა მინდოდა მენახა!

— სტიოპა ქალაქში წავიდა! — სამწუხაროა, რომ სახლში ვერ მოვესწარი: ძალიან საჭირო საქმე მქონდა! — სთქვა ვანიამ და თან უნდობლად გახედა 8-9 წლის დუნისა, რომელიც თავის პატარა ძმას რძის ფაფას აქმევდა.

— წადი, შელო, ხბოს მიხედე: გუშინდელივით მოსლიდან არ გამოძვრეს და ძროხას არ მიუბაროს!

როცა დუნია გარეთ გავიდა, ვანიამ გაწყვეტილი სიტყვა განაცხო:

— მამაჩემის დავალებით მოვედით... — მიხედე! გუშინ ვახლი რომ არ მოვიდა, სტიოპამ მე მომცა შესანახად. საიმედოდ აღვლას მაქვს დამალული. სჯობია ჯერ ჩემთან დარჩეს: ეჭარი დღეს ახლებსაც მოიტანს და შაბათს ერთად გავატანს!

შეთანხმდნენ. თითო ჰქონა რძე დალიეს, ბიკოლა ავლოტიას მადლობა გადაუხადეს და გამოემშვიდობნენ.

— ახლა მამაჩემი ვინახულვით! — სთქვა პოდაბელოვმა.

— როგორ, იმასთან ჩვენ ვინ მივივშევს?

— ციხის ზედამედველს — კრიუსკოვს ვიცნობ, მას ჯარში მამაჩემთან ერთად უმსახურნია და ჩვენსას ბერეჯერ — ყოფილა. შევეხვეწები, რომ მამაჩემს ჩემგან მოკითხვა გადასცეს. მამა მიხედება, რომ დავალემა შეეპასურებ... თუ ის მოედნის მხარის საკანშია მოთავსებული, შეიძლება კიდევაც დაგვინახოს!

როცა მეგობრები ციხის წინ მოედანზე გავიდნენ, შენიშნეს, რომ მეორე სართულ-

ზე კუთხის საკნის ვიწრო საკმელთან მომდგარი პატიშარი ბავშვებს ხელმძღვანელობდა.

ვანიამ იცნო მამა, გაუღიმა და თავის დაქნეული გააგებინა: ყველაფერი რიგზეაო! — მეორე კვირას, როცა ვანიამ და პეტია პოლკში მიდოდნენ, შორიდანვე შენიშნეს, რომ კარებთან მდგარი დარაჯები ადრე მისულ მათი გუნდის ამხანაგებს ჯიბეებსა და უბეებს უსინჯავდნენ.

— პეტია, მომეცი შენი ხეველი! — პეტია მეგობარს განცვიფრებული შესცქეროდა და თხოვნის შესრულებას არ აპირებდა.

— უწინ პენ შეხვალ! — უთხრა ვანიამ. — მევე პოლკის ამანოსთან ადი, ფურცლების ორივე ხეველს იქ გადმოგივადებ, შემდეგ საჩაიფში მომივადე!

— კარგი! — ეუბნება პეტია: — მხოლოდ ხეველები, ვიდრე არ დაგისტვენ არ გადმოწყარი, რომ არაიცი დავეინახოს!

პეტამ მეგობარს თავისი ხეველი გადასცა და პოლკის ეზოში შევიდა. მერე ისე მოიქცა, როგორც ამხანაგს შეპირდა.

მუშა პოდაბელოვის დაპატიმრების გამო ჩამოილი საქმე ისევე გაიჩარხა, რაც პატარა მეგობრებს მხნეობას და გამბედაობას მატებდა.

ერთ შაბათს საღამოს ბიძია ბერეჟნომ მეგობრებს შიშკოს წოგნის „რომანოვთა სარეველის ისტორიის“ ათი ეგზემპლარი დაახვედრა.

— ამ წიგნების პოლკში შეტანა საჭირო! — უთხრა მან ბავშვებს.

ვანიამ და პეტამ ერთმანეთს შეხედეს. ორივენი იმის მოსაზრებაში იყვნენ, როგორ შეესრულებინათ ეს დავალება. წიგნები უყვლო იყო. თითოეული მათგანის ძებნით

დახვევა დაჯობენი ჩილება შეიძლებოდა. მაგრამ შარკელს შემსწინებლად გამოძვრავდა.

— სამხრეთის ვარი უბერავს, ეტყობა გავადრებას აპირებს. — სთქვა პეტიამ. — პალტოებს ჩაიცვამთ და გამოძვრილი ჯიბეები დაითარება!

— ჩინებული ახრია! — სთქვა სტიოპამ: — ჯერ თითო წიგნი წაიღეთ... მალე აცივდება კიდეც და შემდეგში აღარ გავიძნელდებათ მათი ნაწილ-ნაწილად შეტანა!

მეორე დღე მართლაც უნელოვანი გამოვიდა. ბავშვებმა პალტოები ჩაიცვეს და წიგნები პოლკში უცდი ნაცლი ხეჩხით





შეიტანეს. საქმე ახლა მათი დანიშნულები-სამუბრ გადაცემა იყო.

საჩაიეს მიღებული ჰქონდა ოთახი, სადაც საჩაიესათვის საქირო საწონლის მარაგი ინახებოდა. ყოველ კვირას, წირვის წინ, ლობჯანი მგალობელია გუნდს აქ ავარჯიშებდა, ან ახალ სავალობელს ასწავლიდა. მგალობელ ჯარისკაცთა შორის ორი სანდო პიროვნება იყო, მაგრამ, აი უბედურება: ჯარისკაცებს დარჯიშების ტარება მხოლოდ სათანადო ბრძანების გამოცემის შემდეგ შეეძლოთ, ჯერ კი შედარებით თბილი ამინდები იდგა და ამიტომ ასეთი ბრძანებაც არ იყო გამოსული.

ბავშვები ხსენებულ ორ ჯარისკაცს ასე შეუთანხმდნენ: შეხვეულ წიგნებს საჩაიეში ჩამოკიდებულ ნიკოლოზ მეფის სურათის უკან დამალავენ. შებინდებისას ჯარისკაცები ადუღებული წყლის წასალივად მოვლენითოთეული მათგანი თითო წიგნს ჩამოიღებს და ადუღებულ წყალთან ერთად, ძებნის სახით, ყაზარმაში წაიღებს. ასე მოიქცნენ ისინი მომდევნო სამ კვირასაც, მერე კი საქმე სულ სხვააირად დატრიალდა.

სამშაბათს, 18 ოქტომბერს (ძველი სტკლით) ხმა დაიჩხა: პეტერბურგიდან დებემა მოვიდა, რომ ნიკოლოზ მეორემ 17 ოქტომბრის მანიფესტით ხალხს თავისუფლება მიანიჭა. ნამუდამად ეს ამბავი მთელ ქალაქს მოეფინა.

სეესტობოლის გემსაშენში მამინ ათი ათასამდე კაცი შეშობდა, რომელთა დიდი უმრავლესობა ფლოტის ყაზარმების ვადალმა გემსაშენის უბანში, ანუ როგორც მას შემოკლებულად ეძახდნენ: „კორაბელცაში“

ცხოვრობდა. მიტინგი მათ ფლოტის და ბრეტის პოლის ყაზარმების შუა მდებარე ფართი მოედანზე მოაწყეს. კაზაკთა პატრულები აქ უძღლური აღმოჩნდნენ სტიქიურად შემდგარი მრავალათასიანი მიტინგის დასაშლელად. საქმე ის იყო, რომ ხალხი მანიფესტს ექვის თვლით უყურებდა.

— მანიფესტი სანდო არ არის, იგი ჩვენი თვალის ასახვევად არ რეველუციური მოძრაობის შესანელებლად გამოსცეს, მაგრამ ეს მათ არ გაუევათ! — ამბობდნენ მიტინგზე გამოსული ორატორები.

— ეს რა მანიფესტია, ჩვენი ძმები კვლავ ციხეში არიან, თავისუფლება თავისუფლებსათვის მებრძოლო! — დააბოლოვა თავისი სიტყვა ერთმა ორატორმა.

— მაშ, ციხისაკენ! — გაისმა მკექარე ხმა.

— ციხისაკენ, ციხისაკენ! — იგრილა ხალხმა და ნიაღვარივით დაიძრა.

გემსაშენის უბნიდან ქალაქისაკენ მიმავალ გზას ზემოდან ვადმოჰყურებდა „ისტორიული ბელუარი“, სადაც „თავისუფლების მიმნიჭებელ“ მთავრობას ხალხის სისხლში ჩასახშობად ტყვიამფრქვევეები ჩაემწყრივებინა.

ხალხი მანიფესტის თვისას არ იშლიდა. ისმოდა გამანსვენებელი ხმები:

— ამხანაგებო, ნუ შეგეშინდებათ, სროლას ვერ გაგვიბედავენ!

— წავიდა ის დრო!

— რას ვამბებთ, რომ გვესროლონ?



ვანიას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ თავისუფლება მართლა დაწყარდა და მისი მამა დღესვე სახლში დაბრუნდება. ამ სიხარულს მისი მეგობარი პეტიაც იზიარებდა. ორივენი შინა-ათულად მიხტონდნენ დემონსტრაციის წინა რიგებში და დიდების შეძახილს: „გაუმარჯოს თავისუფლებას“, —თავიანთ წყრიალა ხმას უერთებდნენ.

აომართი შვილობით აიარეს. ქალაქში მათ სხვა მიტინგების მონაწილენიც შეუერთდნენ. შოუდანზე რომ გავიდნენ, შემოდგომის მზე უკვე შუბის ტარზე იყო დასული. ზღვის ზედაპირიდან ანარეკლი სხივები ციხის ფანჯრებს ალაპაპებდა.

ციხის კარებთან შეიარაღებული მწყობრი ჩაეყენებინათ.

შოდანზე დემონსტრაციებს ახალ-ახალი წყება ემატებოდა, მოუღანი ხალხს ვედარ იტყვდა, წინა რიგებში მდგარი თითქმის მკერდით ეხებოდნენ სასროლად მომზადებული შაშხანების ხიმტებს.

— მამაჩემი ეგერ, იმ საყანში ზის! — ეშუბნება ათრთოლებული პეტია მის გვერდით მდგარ მუმსას: — საწვიმარ მილს რომ აუყუე, შეხიძლიან მამას ვახარო, რომ...

— ვანია, ეგ არ გაბეღო. გესვრიან! — ეუბნება პეტია, რომელიც თავის მეგობარს მთელ დღეს გვერდიდან არ შორდებოდა.

— როგორ გაბედავენ ამოდენა ზღვა-ხალხში?

სანამ პეტია რამეს იტყოდა, ვანია საწვიმარ მილს ციყვივით შეახტა და ზევით აცოცება დაიწყო.

— ჩამოეთრე! — დაუყვირა პეტიას მწყობრის მეთაურმა, — ჩამოაგდე ეგ არამზადა!

— უბრძანა მერე მან ერთ ჯარისკაცს.

შაშხანამ დაიქნა. ვანია საწვიმარ მილს მოსწყდა და ძირს დაეშვა.

ხალხი ამობოქრდა, ახვირდა და ჯარისკაცთა მწყობრს მიაწყდა.

— მწყობრო, ცეცხლი! — გაისმა მამინ მეთაურის ბრძანება.

იგრილა ოკამდე შაშხანამ... მოედანი ყვირილმა, კენესამ და გმინვამ დაჰფარა.

მრავალ დაკრძლიან შორის, კიდევ თხუთმეტი მოკლული აღმოჩნდა.

მოედანი დაცარიელდა.



კვირას, 23 ოქტომბერს (ძველი სტილით) დახოცოლა დასაფლავებამ გრანდიოზული ხასიათი მიიღო. მას სევასტოპოლის თითქმის მთელი მოსახლეობა დაესწრო. მრავლად იყო მოსწავლე ახალგაზრდობა.

ჩველბაეშევიანი ქალებიც კი მოსულყენენ.

ცხედრები სამშო სამარის პირას დასვენეს. სხვა ჭირსუფალთა შორის პეტიაც თავის გულთაღ მეგობარს ცხარე ცრემლით დასტიროდა.

ორატორები ერთმანეთს სცვილიდნენ, ყველა მათგანი ხალხს მეღის ჯალათების წინა აღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებდა. სასულიერე ორკესტრები და მომღერალთა გუნდები რევოლუციურ სიმღერებს ასრულებდნენ.

ერთი ორატორთაგანი საფლავის ქვაზე შედგა, მეგობრის სიკვდილით გულდათუთქული პეტია ხელში აიყვანა და ხალხს მიმართა:

— მზანავებო, დავიფიცოთ ჩვენი მეგობრების ცხედრების წინაშე, პატარა ვანიას ცხედრის წინაშე, გმირი პეტიას წინაშე, რომ მომავალ ბრძოლებში არ შევეშინდებით მეფის ჯალათებს!

— ეფიცავთ! ეფიცავთ! — იგრილა მრავალი ასასი მკერდიდან ამოხეთქილმა ხმამ.

პეტია მარცხენა ხელი მოკრძალებით ასწია, მარჯვენა კი სამშო სამარისაკენ გაიშვირა და ცრემლმწარევი ხმით წარმოთქვა:

— მე რა გმირობა ჩამიდენია?... ნამდვილი გმირი ჩემი მეგობარი ვანია პოდაბელოვი იყო, აგერ იმ პატარა კუბოში რომ წევს: იმან სულ არ იცოდა, რა არის შიში!







# მშობლიურ სკოლაში



ოცნაოვის პროსპექტზე, კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის გვერდით თქვენს ყურადღებას იპყრობს მწვანეში ჩაფლული, ლამაზი, სამსართულიანი შენობა. ეს თბილისის მე-13 ქალთა საშუალო სკოლაა. ლამაზად მოურთავთ იგი ახალი, სასწავლო წლის შესახვედრად, პლაკატებით და ბელადების სურათებით დაუშმევენებით მისი ლამაზი ფასადი.

თვალს ახარებს ფართო, ნათელი, ახლადშეღებილი კრიალა მერხებითა და დაფებით დამაფენებულა საკლასო ოთახები, კეთილმოწყობილი ლაბორატორიები, კაბინეტები, ახალი სასპორტო დარბაზი, პიონერთა ოთახი.

პირველ სექტემბერს ადრიაანდ გაისმა სკოლის ეზოში ყავისფერი ფორმის კაბებსა და თეთრწინსაფრებში გამოწყობილი გოგონების ატრაქციული. აქვე არიან მათი საყვარელი აღმზრდელები დასასტრებელი მასწავლებლები ნიკოლოზ კერდელაშვილი, ლიფშილა დანელია, ელენე ჭანტურია, ნიკოლოზ მერაბიშვილი და სხვები. ირგვლივ სიხარული სუფევს, ყველას სახე უბრწყინავს, უსაზღვრო პირველი შეხვედრებით გამოწყვეული აღფრთოვანება.

უფროს კლასელებთან ერთად პატარებაც მოსულან. ისინი დღეს პირველად შემოუღსხრდებიან მერხებს.

გაისმა ზარის წყრიალა ხმა... საკლასო ოთახები მოსწავლეებით აივსო, დაიწყა ახალი, 1950-51 სასწავლო წლის პირველი გაყვეული.

\*\*\*

წარმატებით დაამთავრა გასული სასწავლო წელი ქალთა მე-13 საშუალო სკოლაში. 56 კურსდამთავრებულმა გოგონამ, მათ შორის 11 ოქროსა და ვერცხლის მედალოსანმა, დასტოვა მშობლიური სკოლის კედლები, მათ სიმოწიფის ატესტატებით ხელში სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებს მიამოჭრეს. სამმა განაყრელმა მეგობარმა, ოქროს მედალოსნებმა: ნათელა როდონაიამ, ლამარა ემაყვე-

რამე და ნელი სიმონგულოვამ დიდი ხნის ოცნებას შეასხეს ფრთები და სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებად გახდნენ. ოქროს მედალოსნებმა ეთერი არეულამე და მარიკა ჩხარტიშვილმა კი ფიზიკა-მათემატიკისა და ფილოლოგიის ფაკულტეტები არჩიეს.

მრავალმხრივი, მჩვენფარე შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობდა სკოლა გასულ სასწავლო წელს. რამდენი საინტერესო მოხსენება იქნა წაყითხული საჯნობრივი წრეების სხდომებზე, რამდენი ღონისძიება იქნა მხატარებელი სასკოლო კომპაეშირული ორგანიზაციის მიერ. პიონერთა გონებიდან არასოდეს არ წარიშლებია ის მდიდარი შთაბეჭდილებები, რაც მათ პიონერთა რაზმებისა და რაზმეული შეკრებებზე მიიღეს. უფროსებს არც პატარები ჩამორჩებოდნენ. მე-3 კლასის გოგონებმა შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინეს. კლასის ხელმძღვანელის მასწავლებელ წიკლაურის ხელმძღვანელობით თბილისის ღირსშესანიშნავი ადგილების ამსახველი ფოტოსურათებისგან ალბომი შეკერეს, შეკერეს მოსწავლის პატარა ფორმა, უცნობი მეგობრების სახელზე გულთბილი სიყვარულით სავსე ბარათი შეადგინეს, რომელშიაც პატარა ხეყურებს მოუთხრობდნენ თავიანთი სასკოლო ცხოვრების შესახებ, სთხოვდნენ მათაც მოიწერათ წერილი, გაეცნოთ თბილისელი მეგობრებისათვის თავიანთი სოფელი, სკოლა. წერილი საჩუქრებთან ერთად ხეყურეთის ყველაზე შორეული სოფლის — შატლის ოთხწლიანი სკოლის მოსწავლეებს გაუგზავნეს. როგორი მოუთმენლობით ელოდნენ პატარები პასუხს. პასუხშიც არ დააყოვნა.

ხეყური მოსწავლეები სწერდნენ:—„გულითადი მადლობა, ძვირფასო თბილისელი მეგობრებო. იმ ყურადღებისათვის, რაც თქვენ ჩვენდამი გამოიჩინეთ, ჩვენთვის მოულოდნელი იყო თქვენი საჩუქრები, რომლებიც თან მოჰყვა თქვენს გულთბილ წერილს.“



წერილთან ერთად შატრილუმმა მოსწავლე-ებმა თბილისელ მეგობრებს საჩუქრად თავი-ანთი ხევისურული ტანსაცმელი გამოუტ-ზაუნეს. გუგონებს ვაღაწყვეტელი აქვთ წილს-უფრო განამტკიცონ მეგობრობა ხევისურ ამ-ხანაგებთან.

\*\*\*

ღირეკტორის ნახვა მიწოდდა და სკოლის განიერ საღებურებს ავეყვი, მეორე საათუ-ლზე, მარცხნივ კარებზე მიმითითეს. შევედი. მაგიდას სკოლის ღირეკტორი ალექსანდრა კონსტანტინესასული ხუსკივაძე უჯდა და სასწავლო ნაწილის ვამგესთან ერთად რაღაც ქაღალდებს ყურადღებით ყითუ-ლობდა. ვავეცახით ერთმანეთს. სანამ საქ-მის მორჩებოდნენ, მე საქმით დრო მჭირდა დავეყირებოდი მას. იგი საშუალო ხნისაა, მშალო, მეტად სანდომიანი სახის, კეთილი, თაფლისფერი თვალების გამოხედვით ჩანს, რომ მგზნებარე გულისა და კრისტალურად წმინდა სინდისის დამიანია. თორმეტი წელია სათავაგურო უდგას ამ სკოლას და სკოლის პე-დაგოგურ კოლექტივთან ერთად დაუღალა-ვად იბრძვის ანაღაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის. ჩემს შეკითხვაზე თუ რამდენ-ნი წელია ეწევა პედაგოგურ მოღვაწეობას, მისი სახე სიამოვნების ღიმილმა დაძვარა და დამახსურებელი სიამაყის გრძნობით მიპასუხა:

— მე დღეს ოცდამეოთქემეტე სასწავლო წელი დავიწყე.

ოცდაათქემეტე წელი! რამდენ პატარას უგრძენია ამ ხნის განმავლობაში მისი მშობ-ლიური ზრუნვა, რამდენი პატუქისა და ქალი-შვილის გულში აუნთია მის სიტყვებს ნათე-ლი მომავლისათვის ბრძოლის უშრეტელი სურ-ვილი. ბევრი სიხარულით სავსე დღე ახსოვს ალექსანდრა კონსტანტინესასულს ამ დრო-ის მანძილზე, მაგრამ მათ შორის ყველაზე ბედნიერი 1936 წლის თებერვლის ის დღეა, როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფ-ლების დამყარების 15 წლისთავთან დაკავ-შირებით საქართველოს მოწინავე დამიანე-ბი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელე-ბმა კრებლში მიიღეს. დილეგაციის წევრთა შორის მასწავლებელი ალექსანდრა ხუსკივა-ძეც იყო. ამ იგი დიდ ბეღლას შეხვდა, პი-რადღე ესაუბრა მას.

— ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ყველაზე უბედნიერესი წუთები, — გონებს ალექსანდ-რა კონსტანტინეს ასული, — ამ შეხვედრამ მე

უშრეტი ენერგიით აღმავსო, შთამინერგა სუ-რული მთელი ჩემი სიცოცხლე ბავშვობიდან ალბრლის სავატარი საქმეს მოვანდომო.


ამადარი მასწავლებელი სავატარი ნიშნის ორდენით იქნა დაჯილდოებული. 1949 წლი-დან კი მის მკერდზე უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი ბრწყინავს.

საუბარში ვიყავით ვართული, როცა კე-ბინეტის კარები მორიდებით შემოაღეს. სი-ცოცხლით სავსე ორი გოგონა შემოვიდა და თავაზიანად მოვეცხადო. ალექსანდრა კონ-სტანტინეს ასულმა მათ აღურსიანად ვაუ-ლიმა და მეჩე მე მომიბრუნდა: — გაცივით, ჩვენი მე-11 კლასელები მარია ამბესაძე და მედეა ჩუბაძე, წარჩინებული მოსწავლეები არიან, ხუთოსნები.

დიდი ხანია მეგობრობენ მედეა და მა-რიაში. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა კლასებში სწავლობენ, ყოველთვის პოულო-ბენ დროს ერთად ყოფნისათვის, ერთად ატა-რებენ თავისუფალ დროს, უზიარებენ ერთ-მანეთს ფაქიზულისა და ნახულისაგან მიღე-ბულ შთაბეჭდილებებს. ერთად ოცნებო-ბენ მომავალზე. მომავალ პროფესიადაც ხომ მონათესავე დარები აქვთ არჩეული — მარიაში დიდმალი ოცნებაა გეოლოგი გახ-დეს, მედეა კი ისტორიის ფაკულტეტის არ-ქეოლოგურ განზრახე ფიქრობს სწავლის გაგრძელებას. სწავლის დაწყების პირველი დღიდანვე ენერგიულად მოჰკიდეს ხელი სწავლას. სურთ მაქსიმალურად გამოიყენონ ყოველი წუთი, მათ კარგად ახსოვთ კ. ნ. ჩარევიანის სიტყვები, წარმოთქმული საქ. ალექ XVII ყრობობაზე: „ეინც სკოლაში შეიგნებს, თუ რა დიდი ღირებულება აქვს დროს და შეეჩვევა სისტემატურ მუშაობას, ის ცხოვრებაშიც თანმიმდევარი და მუყაი-თი იქნება“. მათ მტკიცედ სწამთ, რომ ბე-ჯითი სწავლით სისტურველ შედეგს მიადრე-ვენ, და წარჩინებით დამათავრებენ სამუ-ლო სკოლას.

მათ თვალებში სიხარული ბრწყინავს, გუ-ლი სავსეა მომავალი გამარჯვებების რწმე-ნით. ბეჯითად ისწავლეთ და იზრამეთ, ძვირფასო მეგობრებო! თქვენი მომავალი ჩვენს ბედნიერ სამშობლოში ბრწყინავალ და მნიარულია. წინ დიდი ცხოვრება გაქვთ. თქვენს მომავალზე ზრუნავს მშობლიური ბოლშევიკური პარტია, საყვარელი ბელადი — დიდი სტალინი.

ბ. სკირნლი





# ერთი შესანგრე ვიყავი

ერთი შესანგრე ვიყავი,  
ფულს ტრანშეუპით ფეარავდი,  
მტერს ზეჟად მთსულს დეჟარცდი,  
მივდეჟდი სასლის კარამდის;  
მივდეჟდი გამგელუშული—  
არც შესეუნუმა წამისა,  
მტრის შავი აუქის ნადგამი  
შამსანის უჟამლმა წანისლა.

ერთი შესანგრე ვიყავი—  
სად არა ფთსარე სანგარი,  
სად არა ფთსარე სანგარი  
დალესცენის ტინზე მადგარი!

ასლა აქ მოჟულ აუქმარდი,  
რთგორც შირჟანის ვანჯარი,  
სამგორის გვალვას წერაქვი  
დეჟარი რთგორც ხანჯალი,  
მსარ-მულავის გავლა მიხდეჟა  
ილართან დამეგანათუვს,  
შარზე ნასსლეუცი შშის სსიჟი  
პირზე რთშ შემთმანათუშს.

ისეჟ მიწას ვთსარი, ხრიოთვი  
შინდა დეჟქსელთ არხემაღ,—  
განჟრთთ გალაღუშული  
იჟრის ტალღუშის დარსეჟა;  
განჟრთთ შადი ქართული,  
ზღვა ჟეჟილეშის აუაგარი,  
ჩანჩქრეშინი ჩქერეში  
ჩალმა ჩავლილი ჩქავანით!

ლალო მადეჟიშვილი





პირველი კვირის

მითხრობა

ჯერ კიდევ წარსულ კვირამდე არაფერი არ მქონდა გავნილო უტიტატჩის შესახებ, მაგრამ იქ ყოფნის შემდეგ კი მას ვერასდროს დავივიწყებ...

მე სან-ფრანცისკოს კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის წევრი ვარ. ჩვენმა ბუნებრივად, როგორც თავისი წარმომადგენელი, ლოს-ანჯელისში გამგზავნა უღირსად დიდმნიშვნელოვან კრებაზე მონაწილეობის მისაღებად. თანები ძლიერ ცოტა გვქონდა; მომცეს მხოლოდ ერთი დღე და ღამე და მითხრეს, რომ ამ თანხით როგორმე დანიშნულ ადგილამდე მივლწა.

კრებაზე ვერ მოვხვდი. რადგან გზაში გაქანებულ საბარგო მატარებლიდან გადმომაგდეს, საღდაც ბეიკერსფილდის სამხრეთით, პირდაპირ სასოფლო გზაზე.

ეს იყო ტიტველი, მზის მცხუნვარე სხივებით გადაშვარი, უპატრონოდ მიტოვებული ადგილი. დალილი და გაბოროტებული ვიყავი. გზის მაჩვენებელი ისარი უტიტატჩისაკენ იყო მიმართული, და მეც ამ მიმართულებით გავემგზავრე.

მცირე მანძილს გავლის შემდეგ გზის ნაპირს შევნიშნე ახალგაზრდა ხე, ხოლო ცოტა გვერდით ხშირფოთლიანი ორი ბუჩქი. ხის ქვეშ ვილატ შეირბა. ეს იყო თევზმეტი წლის ბიჭი. მივუახლოვდი თუ არა, ბიჭი იქვე ხის ძირას ჩამოჯდა და მუხლებზე დაიღო გაშლილი წიგნი.

— ჰელო! — დაუძახე მე, — უტიტატჩი ჩი აქედან შორსაა?

— ეს არის უტიტატჩი, — სივრცეში გაიმვირა ხელი ბიჭმა.

— დასწყევლოს ემპაქმა! მე კი მეგონა უტიტატჩი ეალქია. აქედან გზატკეცილი შორსაა?

— ათი მილი, — მიპასუხა ბიჭმა და განც-

ვიფრებულ დაცქერდა ჩემს დაღურჯებულ სახეს. — იხუბე? — მკითხა ბოლოს.

— მატარებლიდან გადმომაგდეს, — აეუხსენი მე, — პოლიციამ „დამაჯილდოვა“.

— მეხოზღება ისინი! — შეწუხებული სახით წარმოსთქვა ბიჭმა.

— როგორ? ისინი აქაც მოდიან და თქვენც გაწუხებენ?!

ბიჭმა კუშტი სახე მიიღო და სხეული აეთრთოლდა.

— თუხი ელრძე და ძალიან მტკიცა, — ამბობს მან და განაგრძობს: — დაგირავებული სახელი დროზე ვერ გამოვიცხადებ და აღარ გეაძლევენ შებ ცხოვრების საშუალებას...

— შენ გინდა სთქვა, რომ...

— ჰო, ფერმა გვირდოდა მოგვეწყო, რეაწილწადი გაშენებდით, საქმე ვარგად მიდიოდა, მაგრამ ბოლოს „ელექტრო-კომპანია“ ჩაერია ჩვენს საქმეში და მის შემდეგ გავჩანადიეთ. აქ ბამბის პლანტაციების მშენებმა მოაწყეს გათიყვა და ჩვენც შევეუერთებოთ გათიყულ მშენებს მსხვილ მიწათმფლობელების წინააღმდეგ.

— გამოიგონია ამ გათიყვის შესახებ. — ეუთხარი მე, — რა შედეგებს მიაღწიეთ?

— რა შედეგებს?! — თითქმის ყვრილით მიპასუხა მან. — შეკვეთიდან მსხვილი ფერმერები, წერმირი ფერმერების მხარში ამოუდგნენ, და მას შემდეგ გეახრჩობენ... წვეთწვეთობით სვამენ ჩვენს სისხლს.

საუბრა ისევ პოლიციის შესახებ ჩამოვარდა.

— „ელექტრო-კომპანია“ ისარგებლა პოლიციით, — განაგრძობ ბიჭმა. გამოიყენა პოლიციის უფულო ადამიანები, გამოგვყარეს ქუჩაში... ბანქმა კი ჩამოგვართვა სახლი და გადასცა „ელექტრო-კომპანიას“.

— მაშინ არ მოჰკლეს პოლიციელებმა ჯონი? — ვკითხე ბიჭს.

— ჰო, მაშინ მოჰკლეს! — თქვა ბიჭმა და სახეზე აღფთოთება დავიხსივით. — ჯონი! ჩემი ძმა! ის იყო ჩვენი კავშირის ორგანიზატორი.

ბიჭს სახეზე აშკარად გამოეხატა ზიზღი პოლიციელებისადმი.

— ჯონი თქვენი ძმა იყო? მე მას კარგად ვიცნობდი.

ერთხანს უხმოლ შევეცქეროდით ერთმანეთს.

— მან მომცა ეს წიგნი! — მივასუხა დემილის შემდეგ ბიჭმა. — ვკითხულობ, უნდა შევისწავლო.

შევეცადე არ გამოეხატა ჩემი დაინტერესება.

— როგორ მოგწონთ ეს წიგნი?

— ჯერ კიდევ ყველაფერი ვერ გავიგე ამ წიგნიდან...

— თქვენი მშობლები როგორ უყურებენ ამ მღვდომარეობას?

— ფეჭობ, რომ ყველაფერში ისინიც ვერ ერკვევიან, იმდენს მუშაობენ, რომ ფეჭობის დროც არ რჩებათ... ჩვენი მეურნეობა განადგურებულია... ნაუმი ხუთი-ექვსი დღეა ძალიან აედაა... ჯენიც აედაა. ნაუმი ჩემი და არის, ხოლო ჯენი — ჩვენი ძროხა. დანაჩენი ბავშვები ძალიან პატარები არიან.

ბიჭმა შეწყვიტა ლაპარაკი და ღრმად ჩაფეჭოდა.

ხელდან ფრთხილად გამოვართვი წიგნი და შევეკითხე:

— რა არის აქ გაუგებარი?

\*\*\*

მზე მიიწურა. მე და პატარა ბიჭი გულმოდგინედ ვკითხულობდით ასი წლის წინათ დაწერილ „კომუნისტური პარტიის მანიფესტს“. წიგნის კითხვა ერთ საათზე მეტხანს გაგრძელდა. ბიჭმა მოულოდნელად გაიხედა ქოხისაკენ. ქოხიდან გამოვიდა ხანშესული ქალი და გაემართა ამ მიმართულებით, საიდანაც მე მოვედი.

— დედა, საით? — დაძახა ბიჭმა.

— ეჭიმ ლაფინერთან. — უპასუხა ქალმა და უკანაც არ მოუხედაია.

— ნაუმი სათვის? — ვკითხე ბიჭს.

— არა, ჯენისათვის. ეჭიმ ლაფინერი ვეტრინარია. როგორც ჩანს ჯენი ძალიან ცუდად არის.

— ნაუმი როგორ არის?

— ცუდად. წყალ, ენახე, შეიძლება დახმარება სჭირდება.



— ჩემი წასვლის დროც მოვიდა, — ვუთხარი მე და გამოვეშვიდობე.

გაუყვავი გზას. უცებ მომესმა ხმა:

— თქვენ რა გქვიათ?

— დახი. თქვენ?

— ლორი.

ნელი ნაბიჯით განვაგარბე გზა. მზე დიდი ხანია ჩავიდა. მაგრამ ჰაერი მაინც შეხუთული იყო. დაბინდდა. აღარ ეჩქარობდი გზატყეველზე გასვლას. თხუთმეტი წუთით შევისვენე წაბეჭდილ ხეზე, პაპიროსი მოეწიე და ისევ განვაგარბე გზა. მოულოდნელად მომესმა განწირული ძახილი:

— დანი! დ-ა-ანი! გესმის? დანი!

— ეინ არის? ლორი?

სასწრაფოდ გაებრუნდი უკან. ეხედავ: დაცემული ლორი ძლივს სუნთქავს. მივეშვილე და იქვე დავსვი შუა გზაზე. სახე სულ ერთიანად გაფითრებული ჰქონდა.

— რა მოხდა?

— ნაუმი... — ძლივს დულულუღებდა იგი და მთელი სხეული უთრთოდა, — თქვენ ეჭიმთან უნდა წახვიდეთ!

დავხვედი მის ფეხს.

— როგორ მორბოდი ამ ფეხით? — მომავიწყდა, რომ მტკივნეული ფეხის ოდნავ შერჩხვისას საშინლად იტანჯებოდა.

— მას სუნთქვა აღარ შეუძლია... ჩქარა! ცოტა მოზირიებით ტელეფონია... ეჭიმს დაუროვე!

ფრთხილად გადავიყვანე ლორი გზის მარჯვენა მხარეზე და დავაწვინე მოწაზე. სულმოუთქმელად მივრბოდი უცნობ გზაზე, ფეხქვეშ მძვინვარებდა დახეაყებელი მიწის გროვა, ვეცემოდი, ედგებოდი და ისევ გავრბოდი ტელეფონისაკენ.

ოცი წუთის შემდეგ ჩვენ ვიჯექით ეჭიმის ძველ ავტომანქანაში. მანქანა შეეჩაჩრეთ



გზაზე, იმ ადგილას, სადაც ლორი დაეწინა-  
ისიც ჩაესვით ავტომანქანაში და სასწრაფოდ  
გავეძარათთ ნაუმისაყენ. ექიმი თავშეკამებუ-  
ლი კაცი იყო, სიტყვატყნა.

— რატომ გუშინ არ დამიძახეთ? — შეე-  
კითხა ლორის.

— დედა ფიქრობდა, რომ ნაუმი ასე ცუ-  
დად არ გახდებოდა.

— როგორაა შენი ფეხი?  
— ყველაფერი რაგზეა.

— არა მგონია მოტყეხილი ფეხით ასეთი  
სიჩბილის შემდეგ ყველაფერი რაგზე იყოს.

— შე მეგონა ნაღრძობი ჰქონდა! — წა-  
მოუძიხე მე.

— გატყეხილი აქვს, — მოკლედ მიპასუხა  
ექიმმა, — რატომ შენ წამოხვედი ჩემს და-  
საძახებლად, ლორი?

— მამა ჯენისთანაა, დედა კი ექიმ ლე-  
ნერის მოსაყვანად წავიდა.

უბნოდ განავარაძეთ გზა.

მისვლისთანავე სასწრაფოდ შევედი ქოხ-  
ში. ლორიმ მიგვიყვანა ლოგინთან, რომელ-  
სედაც ნაუმი იწეა. დაეხედეთ ლოგინს და  
აღმამფთობებელი სურათი წარმოგვიდგა  
თვალწინ: ნაუმის გაყვითლებულ სახეს ჯერ  
კიდევ ღიმილი არ გაკრთომოდა ტუჩებზე.  
იგი უძრავად იწეა ლოგინზე. ოქროსფერი  
თმის კულულები გაფანტული იყვანა ბა-  
ლინზე. ნაუმი მკედარი იყო... ეს მარტო  
ჩვენ ვიცოდით: ექიმმა, ლორიმ და მე...

გავედით ქოხისამოვრე პატარა ოთახში.  
ეტყობოდა ქერიდან წინაა ჩამოდიოდა,  
ირგვლივ ყრუანტელის მომგვრელი სიჩქმე  
სუფედა... ექიმი თვალს ვერ ამოკრებდა  
მკედარ გოგონას. შემდეგ მიუბრუნდა ლო-  
რის და უთხრა:

— მამა სად არი?

ლორიმ ხმის ამოუღებლად აანთო სანთ-  
ლი და წაეყვანა გომბურისაყენ. გომბურში  
აეადმყოფ ძროხას—ჯენს თავს დასტრი-  
ლებდა ვეტერინარი.

— კარგი, რომ დროზე დამიძახეთ, — ორი  
დღის შემდეგ ჯენი ჯანმრთელი იქნება. —  
თქვა ვეტერინარმა.

უცებ შემერთალი თვალებით შემოგვაჩერ-  
და ქალი.

— ნაუმი?! — დაძახა მან.

— აიარ არის, მოკვდა! — შეწუხებული  
ხმით უპასუხა ექიმმა.

ქალი გაფითრდა, ჯერ ველარაფერი სთქვა,  
შემდეგ თვალითავე გომბურისაყენ მდღლარე  
ცრებლები, შეკვიცლა და იქვე ჩაიკეცა. მა-  
მამ აიღო სანთელი და გაემართა ოთახისაყენ.  
სადაც მკედარი შეილი ეგულებოდა.

— გესმის თუ არა, რა თქვა ექიმმა? —  
თითქმის ყვირილით ეუთხარი ნაუმის მამას,  
დროზე რომ დაგეძახათ ექიმისათვის, ნაუმი  
ახლა ცოცხალი იქნებოდა! გესმის? თქვენ  
ძროხას მკურნალობდით, ხოლო ზავში კი  
უპაატრონოდ მიატოვეთ. შეილი გიყვებო-  
დათ და ამ დროს ძროხისათვის ეძებდით  
ექიმს...

ნაუმის მამას ხმა არ ამოუღია. აიღო სან-  
თელი და ქოხიდან გამოვიდა. ჩვენ მას უბ-  
ნოდ გავეყვით უკან.

— ჩვენ ექვსი შეილი გვაყავს, გარდა ნაუ-  
მისა, — წარმოსთქვა მან. — მათ კვება უნდა,  
ჩვენი მარჩენალი მხოლოდ ერთი ძროხაა,  
რქვს ცყილით და იმით ვიკვებებით.

იგი ისევ წელა გაბრუნდა უკან გომბური-  
საყენს...

ხმა ვერ ამოშელო, გულში ვფიქრობდი:


„ლორი უნდა ტიროდეს, როცა და  
უყვებდა, მამა უნდა ტიროდეს“. ლორი კი  
არ ტიროდა. ის მშვიდად იჯდა ლოგინზე.  
წინი მუხლებზე დაელო და კითხულობდა.  
ნაუმს ღიმილი შერჩენოდა სახეზე და გეგო-  
ნებოდათ. თითქოს ყურს უგდებდნ თვის  
მამას. ლორიმ ხმამაღლა წაიკითხა: — აჩრდი-  
ლი დადის ევროპაში, კალიფორნიაში, უიტ-  
პატჩში—აჩრდილი კომუნისმისა.

ლორიმ არასწორად მოიყვანა ციტატა  
კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტურ-  
პარტიის მანიფესტიდან“, მაგრამ მის სიტ-  
ყვებში არასწორი მე არაფერი შემიმჩნევიდა.

თარგმანი კ. შანტურიფილისა







# სახელმწიფო მხარდებით ქარხანა

თბილისის რკინიგზის სადგურის ხელზე რომ ვაღბ-  
ვალთ, მარცხნივ თქვენ დაინახავთ აგურით ნაშენ კორ-  
პუსებს და ცაღწეულ საჯარტრებს, ხიდანაც ვაწუ-  
წუვებლავ ამოღის სქელი და შავი ბოლი. აქედანვე  
ისმის ორბოქმავლების ქშენა და კივლი. ელექტრო  
ურბების რბივული დაგა-დუგი, მუშების მხენ და სმა-  
ნაღალი შემახდები. ეს არის ჩვენი რესპუბლიკის ტრთ-  
ვრი ორბოქმავლები და უდიდესი სწარმოება-სტაქლინის  
სახელმწიფო თბილისის ორბოქმავლ-ვაგონსარემონტო  
ქარხანა და თბილისის დეპო. აქ ავანსაღებენ რატკლ-  
მავლებსა და ელექტრომავლებს, აქედანვე სანგზავრო  
და სატვირთო ვაგონებს, აქედან გამოდის მძლავრი  
სტალინური ლოკომოტივები.

სახელმწიფო აქ ქარხნისა და დეპოს ისტორია. მათი  
რევოლუციური წარსული მედროდ არის დაკავშირე-  
ბული ჩვენი მამისა და ბელადის დიდი სტალინის სა-  
ხელთან. დიდი სტალინის ზღაპრულ-მედიკალიზო ვასელი  
საქურის მიწურულში ქარხნისა და დეპოს მუშებმა  
მამაკურად აღმართეს თვითმკრობლობისა და კაპი-  
ტალისტების წინააღმდეგ ბრძოლის დროსა. ლენინ-  
სტალინის დროსა, რომელიც არასოდეს დაშლა არ და-  
ხრილა, და დღეს კონრეზის ვეს ვაინაღებს.

მე წლის წინათ სულ სხვაგვარი იყო ჩვენი რესპუბ-  
ლიკის დედაქალაქი თბილისი. აქ იყო რამდენიმე ფაბ-  
რიკა-ქარხანა, მათ შორის უყვალავ დიდი — რკინი-  
გზის სახელმწიფოები და დეპო.

ფაბრიკა-ქარხნები მიშენ კერძო პირებს ეკუთვნო-  
დათ. ისინი დახარბებულნი იყვნენ მოკვების და მუშებს  
ტყავს აპრობდნენ. სამუშაო დღე 11-16 საათს გრძელ-  
დებოდა. ხელფასი იმდენად მცირე იყო, რომ მუშებმა  
ნახტვირად მშვიტ-მწყურფაინო იყვნენ. ჩვეულებრივი  
ნოვდენა იყო მუშების ცემა-ტყემა, შურბაცხუფა,  
ქაზნიდან დახოხვინა.

ფაბრიკა იყო გავრცელებული ქალაქისა და ბავშვე-  
ბის შრომა. 8-10 წლის ბავშვები მთელი დღის განმავ-  
ლობაში თავადღებულ მუშაობდნენ. მათი განსარჩევლო  
დღიობა 10-20 კაიბეს არ აღემატებოდა. 1898 წ. გაწ.  
„კვალის“ კორტსპონდენტო აღწერდა მცირეწლოვანთა  
მოწონი შრომის პირობებს და მიუთითებდა: „უხტებ-  
სობას სიცოცხლის ელფერი ადარ აქვს, პირისხვე ჩამო-  
ყვოლებულ-ჩამოქმინა აქეთ, თვალბობ ჩადრმავ-  
ბულ-ჩამოვებულა. ყურბები გათრელებული, მავე ჩა-  
ბტქტალი და ხელფასი დამწვარივით გარბულბოი. ნა-  
ხეთი ომისთაღებსაჲ — ჟარ-ხამი თითვი აქლიათ ხელ-  
ზე მინაქისა შეწყობით“.

უფუფლებო, შეაწროვებული მუშები უწყაოფილ-  
ბას განოსტებდნენ ნავიგობსა და ქალღობის წინააღ-  
მდეგ. ისინი ხშირად აწუხებდნენ გაფიცვებს, შავრამ მათი  
გამოსვლა პირველად არაორგანიზებულ, სტიკიურ

სასიათს ატარებდა. მუშები რომ საბოლოოდ განთავი-  
სუღებდებოდნენ, ამისათვის საქარბო იყო არსებული  
წყობილების დანახტვება და მუშებისა და გუბებების  
მთავრობის შექმნა.

მე-19 საუკუნის მიწურულში დიდი სტალინი და მი-  
სი უახლოესი თანამებრძობლები ლადო კეცხოველი, სა-  
მა წულაკიძე თბილისის მოწინავე მუშებს შორის  
წარმადნენ ფართო საავტავიო მუშაობას. ისინი აწ-  
ყობდნენ მამისობას, ფაქტურ კრებებს, პოლიტიკურ დე-  
მონსტრაციებს, უხუდდნენ პროკლამაციებსა და ფურ-  
ტლებს, შექმნიდნო სოციალისტური შეგნება მასებში  
და ამზადებდნენ რევოლუციურ ამზიას ქველი წყობი-  
ლების დასამზობას.

1900 წელა მძიმე აღწონდა თვითმკრობლობისა-  
თვის. რუსულნი დაიწყო სარწევლო კროსიხი. კაპი-  
ტალისტებმა მუშებსა ნაწილი დაიხოხვეს. ხელფასი  
შეამცირდა, ექსპლოატაცია კიდევ უფრო გაიზარდა.  
ვაფარტება პარობების თბილისის რკინიგზის სახე-  
ლოსნოებსა და დეპოსა. დამის სამუშაოებმა იჩაბა,  
ხელფასი შერცირდა. ზედაშემდეგელებს თვითნებობამ  
უხუდდევარ სახლფარბს გადააქარბა. მუშების მოთმინე-  
ბის უთადა ახოვო.

დიდი სტალინისა და მისი თანამებრძობების რევო-  
ლუციური მუშაობის შედეგად ახლა მუშების შეგნება  
გავრცელები მთელი იყო. სახელმწიფოსა და დეპოსში  
მუშობდნენ ისეთი პირები, რომელთაც ვაფილი  
ქმონდათ რევოლუციური ბრძოლის სკოლა. ასტეობი  
იყვნენ მ. კალინინი, ვ. სტურუა, ზ. ჩოდრშივალი, ს.  
ალოლუცი და სხვები. ისინი ამზანავ სტალინის ხელმ-  
ძღვანელობით ამზადებდნენ დიდ გაფიცვას.

სახელმწიფოების აღმონსტრაციას და პოლიციას  
შედეგელობად არ გამოეპარა მუშების სამზადისი.  
ვაძვირდა უარბული ქარხნის ირგვლივ და მუშათა  
უხანაშო. მის ივლებს (ქველი სტილით) სახელმწიფოების  
მოწინავე მუშები დააპატობრებს.

პოლიცია დეპობრდა, რომ მოთავეთა დაპატობრებით  
გაფიცვას თავადან აიცილენდა. მაგარც ეს იმდებლი არ  
გაქარბოდა. 1-ლ (14) აგვისტოს მუშებმა გაიგეს მათი  
ამზანაგების დაპატობრების ამზავი. მათი აღფოტობა  
კიდევ უფრო გაიზარდა. სახარტაო სააქტობის მუშებმა  
მოკლეს საქმე, მას მუშურბოდნენ დანარტინი სააქტო-  
ბიცი, დილის მ სათავე რკინიგზის სახელმწიფოებში და  
დეპოსში მუშაობა მოილიანად შეწედა.

შედეგ საგაფიცვი კომიტეტი, რომელიც შეტრმშავა  
მოთხოვნები რკინიგზის უფროსისათვის წარსადგენდა.  
ეს მოთხოვნები იყო:

- საღამოს ზედიტეი სამუშაოების გაუქმება; მუშათა  
ხელფასის გვიდიება; აღმონსტინი მოპარობა ოსტატე-  
ბისა და ბრიკავიტირების მხრცი; სახელმწიფოებში შრო-  
მის მიკვიტური პირობების გაუმჯობესება და სხვ.

მუშები მოითხოვდნენ აგრეთვე გათავისუფლებინათ მათი დაპატიმრებული ამხანაგები.

რკინიგზის ადმინისტრაცია და პოლიცია ფეხზე დგდა. დაპატიმრებულ იქნა 400-მდე მუშა. ამავე დროს მუშების დასაშინებლად აღმინისტრაციამ შექარის მეთოდი აირჩია. სახელმწიფოს კარებთან გამოკრულ იქნა გზის უფროსის ვედენიევის განკარგულება — ვინც 4 აგვისტოს მუშაობას არ შეუდგება, ქარხნიდან დახოცნილი იქნება.

მუშები არც ამ შექარამ შეაშინა. საგაფიცო კომიტეტის პროკლამაცია, რომელიც სასწრაფოდ გავრცელდა გაფიცულთა შორის, მოუწოდებდა მუშებს:

„ამხანაგებო!

ბატონები დახოცნილი გვემტკრებინ, თუ ხვალ საყვირის დაძახილისთანავე სახელმწიფოს სამუშაოდ არ მივაშურეთ.

გადაწყვეტილ მგვობრებო, არ შევეშინდეთ ამ შექარას პარაზიტების შექარას, თუნდაც მთელი თვეების განმავლობაში მხოლოდ რკოთი კვება მოგვიხდებ.

შეფიცეთ ერთმანეთს გავიტანოთ ჩვენი, ვიდრე უკლებლივ ყველა ჩვენი მოთხოვნა შეზრტულბული არ იქნება.

შეხედეთ, რა ვეჟაცურად ებრძვიან მტრებს ჩვენი ამხანაგები საფაროვის, ბოზარფანცის, ინფანჯიანცის და ბოტულოვის ქარხნებში.

დიდება ერთგულ მებრძოლებს.

ზიზღი უზადარტ ღაჩარებს, უქანდაზხევეებს, მოღალატებს“.

გაფიცულთა რიცხვი უფრო და უფრო იზრდებოდა. სახელმწიფოს და დემოს მუშებს შეუერთდნენ მემანქანეთა თანამუშევრები. 7 აგვისტოსათვის 4 ათასამდე მუშა იყო გაფიცული.

შეშინებული ხელისუფლება ენერგოული ზომების მიღებას შეუდგა. თბილისში გამოცხადდა საალყო წესები. სახელმწიფოს ტერიტორიას გარშემოყრტყნენ

ჯარის ნაწილები. უანდარმერია ყოველდღე იკრებოდა ათობით მუშებს. მ აგვისტოს დაპატიმრებულ იქნა ალოომა ჯაფარიძე. საგაფიცო კომიტეტმა ხელისუფლების ტერორის საპასუხოდ გამოსცა მოწოდება, სადაც ხზობლბული იყო მეფის მოვარობის ნაშედილი სახე.

ჩვენ გვაპატიმრებენ იმისათვის, რომ ჩვენ მოვითხოვო მოვეუტყარს ისე, როგორც აღამიანებს. — მამა. სადაშე, მოვარობა ისე გვეუტრებს, როგორც პირუტყვებს, რომელსაც წიხლის გაქნიევის უფლებაც კი არ აქვს.

დავისხოვით ეს, ძმებო. როდესაც დადებმა მოვარობასთან ანგრომის გასწორების დღე, ეს დღე კი ახლოა — ჩვენ მოვითხოვთ იმისათვის პასუხს“. — ნათქვამი იყო მოწოდებაში.

7 აგვისტოდან გაფიცვის ტალღამ შენელება იწყო: გაქირვებამ ბევრი მუშა აიძულა სამუშაოს დაბრუნებოდა. 15 აგვისტოს გაფიცვა შეწყვეტილ იქნა. მოვარობამ თითქოს გამარჯვებას მიაღწია, მაგრამ ნაშედილი გამარჯვება მუშებს დაჩნათ. შეშინებული ადმინისტრაცია იძულებული გახდა შეშედიე თვეების განმავლობაში მუშათა მოთხოვნები თანდათანობით დაეკმაყოფილებინა.

თბილისის რკინიგზის სახელმწიფოების მუშათა ამ განადიოზულ გაფიცვას, რომელიც დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ჩატარდა, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

რკინიგზის მუშებმა ამ გაფიცვით თვითშეგობილობას აგრძელობნენ თავიანთი ძალა: მათ დანახებს ამიერკავკასიის მუშებს და გლებებს, რომ ერთ დროშის ქვეშ დარაზულ პროლეტარიატს შეუძლია არა მარტო ალკეუროს მეფის მოვარობის თვითნებობა, არამედ დამახის ეს მოვარობა.

პ. სპრემუბამ.


ისტორიულ მემნიერებათა კანდიდატი



მეფის სატრაპები ფანტეენ თბილისის რკინიგზის მოვარის სახელმწიფოების გაფიცულ მუშებს, 1900 წ. გაფიცვა მოწყობილი იყო ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით.

ფოტო რებროლტეკია მხატვარ ი. ვეფხვიძის სურათიდან.

# მამაცი ქართველი ალპინისტები

 უთმა მამაცმა ქართველმა მთამსვლელმა არა მარტო საბჭოთა, არამედ მსოფლიო ალპინიზმის ისტორიაში უმაგალითო გამარჯვება მოიპოვა — მათ დაიპყრეს მთავარი კავკასიონის ორი უციღერესი გოლათი მწვერვალი: უშბა და შხელდა. ეს მწვერვალები იმ სიმაღლეების მიხედვით, რის გადალახვასაც მათი დაპყრობა მოითხოვს, განეკუთვნებიან ევრეთოვლებულ 5-ბ კატეგორიას, ეცივი ისინი მსოფლიოს უძნელესი მწვერვალებია.

ვინ არიან ისინი, ვინც თავიანთი უძნელესი ნებისყოფით, ზანათის სიმტკიცით, გამბედაობითა და უმაგალითო ფიზიკური გამძლეობით ასახელეს დედამშობლო? — ექსპედიციის ხელმძღვანელი, საქართველოს აღმწერი კლუბის პრეზიდიუმის თავმჯდომარის შოადილე ივანე შარი, სსრ კავშირის სპორტის ოსტატი ბექუზ ზერგიაძე, ზემოსვანეთის რაიონის სოფელ მულახის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, სსრ კავშირის სპორტის ოსტატი გოჯი ზურებიანი, სოფელ მესტიის ბერძან სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი ექიკო ჩარ-


თოლანი და ამავე კოლმეურნეობის ფერმის გამგე მაქსიმე გვარლიანი.

მამაც ქართველი ალპინისტთა ამ ხუთიწევლის გმირობას არასოდეს არ დაივიწყებს ხალხი. მათი გმირობისა და მამაცობის, მათი მტკიცე ნებისყოფისა და მაღალი მორალური თვისებების მაგალითზე ისწავლის ჩვენი ახალგაზრდობა, ნორჩი თაობა.

ოცდაათი ივლისს მამაცი ხუთიწევლი ზემოსვანეთის რაიონის სოფელ უშხვანარაშია. ყველაფერი მზადაა მთავარი კავკასიონის ორი უწინესი მწვერვლის ტრავერსის დასაწყებად. მზიანი ამინდია. ესპედიცია გასცქერის ამ ორ გოლიათს. მოსჩანს შხელდის ექსპედილა ხერხემალი და უშბის ორი კომპი. რას უქაღიან ეს ამაყი და მიუტკარებელი მწვერვალები ამ გმირებს?

მაგრამ ქართველ საბჭოთა ალპინისტებს გამარჯვებაში ოდნავი ეჭვიც არ შეპარვიათ: განწყობილება — მეტროლი. 31 ივლისს მთამსვლელები აჯგუფი დაიძრა უშბის საშულო მყინვარიდან, სადაც შტურმის წინ დაბანაკებული იყო და რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 3.400 მეტრია.

## უშბა-შხელდის ბრავერსის სქემა



შეადგინა აკობის ტაბაია სანდრო გვალავა



პირველ აგვისტოს დაიწყო შტურმი შხელდის მწვერვალზე ასასვლელად. შტურმის ორი დღის განმავლობაში ექსპედიციამ გადალახა ოთხი მწვერვალი: ფიჭულტორე-ვის პიკი, მკირე მხელა, პროფუკვირების სრულიად საქაემირო ცენტრალური საბჭოს პიკი და შხელდის პირველი დასავლეთი კოშკი.

მაგრამ პირველი ხანების შედარებით ხელსაყრელი ამიხდები მალე სამიწილი ავღრით შეიცვალა. მთამსვლელებს ცხრამაღიან ქართან, გრივალთან უხდებოდათ ბრძოლა. გრივალი თითქმის ცდილობდა მათს წაქცევას. ექსპედიცია იძულებული გახდა შეეჩრებულყო და გაამიხდებას დალოდობდა. როგორც კი ცოტათი შენედა ქარი, ჯგუფი დაიბარა წინ — შხელდის მეორე დასავლეთი კოშკის დასაპყრობად. მან გადალახა შხელდის ხუთი უსახელო უინულოვანი კბილი, მეორე შხელდის მესამე დასავლეთი კოშკი. მთამსვლელები აღიან არისტოვის პიკზე. (ეს სახელი ამ პიკს ეწოდა ახალგაზრდა სამაქოთა ალპინისტის ოლეგ არისტოვის საპატრუცემლოდ, რომელმაც, პირველმა 1936 წელს, დააპყრო იგი).

კვლავ გაედარდა. ამოვიარდა გრივალი. თოვლის ფანტელი, ხოშკაელი, ნისლი ყველაფერს ბურუსში ხვევს. ირგვლივ არაფერი არა ხიანს. ჯგუფი იძულებულია კარავი გაშალოს დიდი ბრძოლით და დამე ავიოს. იგი მთელი დამე ებრძვის სტიქიას, დუნდობდებ გრივალს, რომ კარავი არ მოპკიდოჯოს. გრივალი კი ძლიერდება. სტიქიათან მებრძოლი გპირები თხრიაან ყინულს მეტრ-ნახევრის სიღრმეზე. გმირთა ხუთეული თავსდებდა შიგ, რათა სტიქიისაგან თავი დიცვას. ყინულის ხანგრძლიან ამოსვლა შეუძლებელია — გრივალი ამის საშუალებას არ იძლევა.

... გრივალი ნელდება. კვლავ წინ! არისტოვის პიკიდან მათ ესმით ხმები, მაგრამ სიტყვების გარჩევა შეუძლებელია. ხუთეული მიხვდა — ეს შხელდის მარა-ლუღური ტრავერსის მონაწილე მოსოველი ალპინისტები გუსაკი, ახოლაკოვი და მათი ჯგუფია.

მხოლოდ დროდარბო მკირე ხნით თუ გამოიღარებს, თორემ სტიქია სულ უფრო და უფრო მძვინვარებს. გმირთა ხუთეული მანერც წინ მიიწევს. ათი აგვისტოს საღამოს ექვსი საათისათვის ხუთეული შხელდის ცენტრალურ კოშკზეა, ხოლო ორი დღის შემდეგ შხელდის აღმოსავლეთ მწვერვალზე.

შტურმის მეოთხედიც დღეა. გრივალი არ იძლევა ნაკნობი გზით სვლის საშუალებას.

ხუთეული მიდის შეუსწავლელი, უხვერავი გზით. იწყება ასვლა წრიანებისა და თოვლის საშუალებით. გრივალი ძლიერდება. თოვლის კორიანტელი ფარავს წინ ყველაფერს. ალპინისტებს პროდუქტებიც შემოელოათ. 15 აგვისტო. კვლავ უამინდობა, მაგრამ ჯგუფი ეშვება უშმას პლატოზე. იგი წარმატებით სძლავს კლდოვან შვეულ ფერდობებს. პლატოზე ხუთეულს ხელდება მამხარე ჯგუფი, ამ მათ საქმელი მიიღეს. უშმის პლატოზე გადასვლეს გმირ ხუთეულს მოსოველი ალპინისტების — შხელდის მარალელური ტრავერსის მონაწილეების ამაღელვებელი, გულთბილი წერილები. აი ერთი მათგანი: „მეიზვასო ამხანაგებო! მხოტრეაღედ გილოცავთ შხელდის მწვერვალის ტრავერსის დამთავრებას. გისურვებთ მასობრივი და სპორტული ალპინიზმის ფართოდ განხვითარებას საქართველოში. მივსალმობი ამხ. მარს, სახელოვან არწივებს—ჩემს ძველ მეგობრებს—გოჯის, ბექნუს, ტიციკოს, მაქსიმეს. ვთხოვთ გადასცეთ კულოთადი სალაში ყველა თბილისელ ალპინისტს და განსაკუთრებით — ალექსანდრა ჯავახიშვილს. გისურვებთ გზის მშვიდობით განგრძობას უშმაზე. მაგრად გათმევეთ ხელს. უშმის პლატო. ნ. გუსაკი“.

მკირე შესვენების შემდეგ იწყება ახალი შტურმი უშმის მწვერვალისაკენ. ჩრდილოეთი უშმის ყინულები ყოველ წუთს სასიკვდილო საფრთხის უქმნიდენ მთამსვლელებს, მაგრამ მამაცი ალპინისტები არ შემეძლავრან, — ისინი მტკიცედ მიიწვიდნენ წინ, მაღლა უშმის შვეული ყინულის კედლებზე. ოც აგვისტოს მამაცი ხუთეული მეება სამოკლანტოგარდუსსიან აღმართს ყინულისას, მეორე დღეს დაეშვა უშმის დანისპირულ უნაგირასაკენ, რომლის ორივე მხარეს ორკოლომეტრიანი უფსკრულებია. ამინდი კვლავ უარესდება. იყო მომენტი, როცა საათობით მოუნდნენ ასი მეტრის გავლას—ხოშკაელი სახეში სცემდათ, გრივალი მძვინვარებდა. სუსტი იყო ხილვალობა. გრივალთან კი ყინულებთან ბრძოლაში მათ საათობიცი და დემეტრე და მხოლოდ ვარაუდიოდა შეეძლოთ დროის გაგება. შეჩერება შეუძლებელი იყო ყინულის შვეულ კედლებზე. ოცდახუთეულადუსსიანი ყინვა და სტიქიასთან განუწყვეტელი ბრძოლა ძალას უღვევდა მათ, მაგრამ შეჩერება შეუძლებელი იყო. მხოლოდ წინ!—ამაში იყო ხსნა სტიქიისაგან. კიდევ ერთი უძნელესი შტურმი, კიდევ ერთი სამეცრო-სასიცოცხლო ბრძოლა ქარ-გრივალთან, ყინულებთან, ბუნების ამყ ძალებთან და... უშმას მწვერვალზე დაპყრობილია. გამოჩენილი სამკო-





დედაქალაქი სიხარულით ელოდა გამარჯვებულ ალბინისტებს. თბილისის სამეზაგრო სადგურის პერონზე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. ჩამოდგა მატარებელი: თბილისი-სოხუმი. აი, ვაგონიდან გადმოვიდნენ უშმა-შხელის ტრავერსის მონაწილენი, მამაკაცი ქართველი ალბინისტები. ნათესავ-მეგობრებმა მცერდმა ჩაიკრეს, ხალხმა გულთბილად მიიღო ისინი. მოსწავლე გოგონებმა თაგულები მიუძღვნეს.

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ): გ. ზურებიანი, კ. ჩაიროლანი, მ. გვარლიანი, ი. შარი და ბ. ხერგიაი.

თა გმირი ქართველი ალბინისტის აღექვსანდრე ჯგაფარიძის ჩანაფიქრი, რომლის განხორციელებასაც იგი 1945 წლის ოქტომბერში მთავარი კავკასიონის უღმომეღეუ ყინულებს შორის შეეწირა,— დღეს ბრწყინვალედ დაავიჯრვინეს მისმავე ამხანაგებმა. 24 აგვისტოს დამთავრდა ოცდაექვსდღიანი ეს გმირული ეპოპეა. ქართველმა საბჭოთა ალბინისტებმა მამაცურად სძლიეს სტიქიას— შხელის ექვსკბილა ხერხემალსა და უშმის ორ კოშკს. მათ უმაგალითო უამინდობის პირობებში ბრწყინვალედ განახორციელეს შხელა-უშმის მწვერვალების ტრავერსი.


ტრავერსის შედეგებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეცნიერული თვალსაზრისითაც — იგი იძლევა ახალ მჭირფას მასალას საქართველოს მაღალმთიანი კუთხის მეტეოროლოგიის შესახებ. ცნობილია ის დიდი მნიშვნელობა, რაც ალბინიზმს აქვს ქვეყნის თაღდაცვის საქმეშიც. ამიტომაც არის, რომ პარტია და ხელისუფლება მუდამ დიდი ყურადღებითა და მზრუნველობით ეკიდება საბჭოთა სპორტის ამ ერთერთ ყველაზე საინტერესო და სასარგებლო სახეს. უცხოელ ალბინისტებს არაერთ-

ხელ უცდიათ შხელისა და უშმის მწვერვალებზე ასვლა, მაგრამ ამაოდ. ამ სახელოვანი მისიის შესრულება წილად ზედა მხოლოდ სტალინური ზრუნვითა და სიყვარულით გარემოცულ, მაღალი ფიზიკური და მორალური თვისებებით დაჯილდოებულ ჩვენს მამაც საბჭოთა ალბინისტებს. ამ ურთულესი ტრავერსის დროს, მუდამ, როცა კი ბუნების დაუნდომელი სტიქია მამაც ალბინისტებს სიკვდილის საფრთხის წინაშე აყენებდა, ისინი ფიქრობდნენ მშობლიურ სტალინზე. მშობლიური სტალინის სახელით, დედასამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობით მიიწვევდნენ ისინი წინ და მაღლა.

ხალხმა გულთბილად მიიღო გამარჯვებით დაბრუნებული მამაკაცი მთამსვლელები. შხელა-უშმის ტრავერსის მონაწილე ზემოჩამოთვლილი ხუთი გმირი ალბინისტი და ტრავერსის დამხმარე ჯგუფის შვიდი წევრი, სულ 12 კაცი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

დიდება მამაც საბჭოთა ალბინისტებს!

ა. ლეშვილი





# თეთრი

## დათვის ნაამბობა



ირაკლიჯიშვილი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ნახ. გ. გულისაშვილისა

იანვრის ღამე იყო. ზოოლოგიურ ბაღში მოზინადრე მხეცები ცდილობდნენ, როგორმე გაძთხარეყვნენ. სციოლათ ძალიან.

— რა საშინელი სიცივეა! — საცოდავად ამოიხზა პატარა მაიძუნმა, რომელიც გალიის კუთხეში მიყუთულოყო და კანკალებდა.

თუთიყუს ფრთის ქვეშ ამოეყო თავი. დიდი ხანი ეძინა, მაგრამ სიზმარში შეკრთებოდა ზოლმე. ყველა ჩემად იყო.

— უჰ, რა სიცივეა! — ასეთი უცნაური საყვედურის ვაგონებაზე ყველამ თავი გამოჰყო. პატარა მაიძუნი მყის მოეარდა გალიის ბაღესთან.

— კი, მაგრამ თქვენ სადაური ხართ, რომ ასეთხარის სიცივე, სიცივდ მიგაჩინათ? — გაევირეებთ იციოთა მან.

— მე, თეთრი დათვი ვარ, ჩრდილოეთიდან, ჩემო კარგო! — თქვა დიდმა თეთრმა დათვმა და განაგრძო: — თქვენ გაევირთ, მე რომ მცხელა? მამ ყური მივდეთ.

ყველა დაინტერესდა, ყველა მოსასმენად მოეშალა. განსაკუთრებული ინტერესი ისევ პაწაწინა მაიძუნმა გამოიჩინა და აცემტტდა.

— აბა, აბა, ბრძანე! ჩვენ მზად ვართ მოგისმინოთ!

და თეთრმა დათვმა დაიწყო:

— მე ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანე-დან ვარ. იქ ყოველთვის ზამთარია, მაგრამ ასეთი ზამთარი კი არა, აქ რომ არის! ეს განა ზამთარია?! ჩრდილოეთის ოკეანეში დიდი, სახლების ოდენა ყინულები დასცურავენ. მიდამო ყოველთვის თეთრია. ღამ-შია იწურება. გაგაგონიათ ჩრდილოეთის ციალი? ზამთარში ყოველდღე ათასფარდ არს აპრეტებული ჩრდილოეთის ცა, ულამაზესი ფერები სცვლიან ერთიმეორეს, ამის მფურებელს სიზმარში გგონია თავი. მაგრამ ასეთი სილამაზის შეხედვა ყოველთ-

ვის არ შეიძლება, იმიტომ, რომ ყოველთვის არ არის იქ ღამეები...

— როგორ თუ ღამეები არ არის? — იკითხა გაევირეებულმა ყირაფმა.

— პო, ყოველთვის არ არის ღამეები. მხოლოდ ნახევარი წელიწადი, ე. ი. ექვსი თვეა სულ ღამე...

— აი, სად ყოფილა ჩემი ადგილი! — წამოიძახა ექვსთვიანი ღამეების ვაგონებისას შერზე თავდაყირა ჩამოკიდებულმა ცხელი ქვეყნების დიდმა, წითურმა ღამურამ, რომელსაც მფრინავ მულის ეძახიან, და შავი ფრთებიდან გიშრის ფერი ცხვირი გამოეყო.

— დაახ, ნახევარი წელიწადი სულ ღამეა, ნახევარი წელიწადი კი სულ დღე. — ამაყად თქვა თეთრმა დათვმა და განაგრძო: — როგორც კი მოახლოვდა შემოდგომა და ღამეებმა იწყეს კლება — დღეაჩემმა თოვლში ამოთხარა დიდი ორბო, შეძრა და დაიძინა. დაიწყო ქარბუქი, მოვიდა დიდი თოვლი და დღეაჩემი დაიძარბა თავის ორბოში. მთელი თვეები იყო იქ ჩამარხული. გარეთ არ გამოდიოდა და არც კი ინძრეოდა, მხოლოდ ეძინა და ეძინა.

— კი, მაგრამ საქმელს და სასმელს ვინ აწვდიდა? — გაევირთა ნაცრისფერ სპილოსი.

— არც არავინ აწვდიდა და არც სჭირდებოდა: სხეულში დაკრთვილი თავისივე ქონი ყოფნიდა საარსებოდ. ბუნაგაც თბილი და მოხერხებული იყო, ქარი ვერ ატანდა თოვლში — სისველისაგან კი თეთრი ქურჭი იფარავდა.

დათვები ყოველთვის ტყუპებად იზადებინან... იანვარში ჩვენც დავებადეთ დღეაჩემს — მე და ჩემი დაი. შინაური კატის ტოლები ვიყავით ორივენი. გევიკრდა, რომ ასეთ უშველებელ დღეაჩემს ასეთი პატარა შე-

ლები ვეყოლები. თეთრ ბურთებს ვგავდით, ძალიან ლამაზები ვიყავით, ძალიან გვიხიბებდა. ბაბა თეთრი ბურთი და შავი ცხვირი, პატარა წარტილივით რომ გვიჩინდა თეთრ თავზე. დიდი მსუნაგებიც ვიყავით ორივენი. იანვრიდან აპრილამდე ორივენი ძუძუს ეწოდებით და, თქვენ წარმოიდგინეთ, დედაჩვენს საძუძველში მარცხ არ სქამდა. როდესაც გახსნა ზუღის მოახლოება იგრძნო, წამოდგა, გაიხშორა და დაიწყო ბუნავიდან გარეთ გამოსვლა. ეს საქმე არც ისე ადვილი იყო, რადგან მთელი შემოდგომა და ზამთარი გვათოვდა და შემდეგ დანათოვლო გაიყინა. ამასთანავე დედაჩემი ძალიან ვახდა და დასუსტდა, მაგრამ ამის მიუხედავად მხნედ დაიწყო გზის გაყვლა.

— თათები გეტყვიან, დედიკო! — მივაყვირეთ პატარებმა, — შემდეგ ხომ გავიქირდება სიარული?

— დედამ გადმოგვხედა, გაეციონა და გეთხარა:

— ნუ გეშინიათ, შვილებო! მთელს ქვეყანაზე არ მოიძებნება ისეთი ჭბოველი, რომელიც ფეხშიშველა არ დადიოდა. მხოლოდ ჩვენ ვართ გამოჩვეულები. ჩვენ, თეთრ დათვებს, თათებზე ქვეშინადაც გვაჩვენებენ, როდესაც მე ყინულს ვამტრევე. სრულიადაც არ მტყივა თათები.

ეს თქვა დედაჩემმა და განაგრძო გზის გაყვლა. თანდათან თხელდებოდა კედელი. უცერად როდესაც ხმამ მოაღწია ჩვენს ყურამდე. დედაჩემმა ამ ხმის გაგონებაზე ისე საშინლად დაიღრიალა, რომ ჩვენ შიშისაგან ავჯანკალდით.

— ეს მამათქვენი გვეძახის, — თქვა დედამ, — მთელი ზამთარი არ უძინია, საცოდავს, ამ მიდამოებში დადიოდა და ჩვენ ვეიცდით, თქვენ ნახვას ჩქარობს. მთელი ზამთარი მარტო ვაპატარა მამადათვები ხომ არ შედიან ზამთრობით ბუნავში! დადინ და უცლიან, როდის გამოვა ბუნავიდან მათი ოჯახი — დედადათვი თავისი შვილებით.

დედაჩემმა უმატა მუშაობას. გარედან მამამაც დაიწყო თოვლის ამოთხრა. უცებ ჩამოიხვრა თოვლი, სინათლე და სუნთხვა პაერი ერთად შემოიჭრა ბუნავში. დედაჩემმა უკრ მუ გამაფლო გარეთ, მერე ჩემი დაი, შემდეგ თვითონ გამოვიდა. ჩემს სიოცხლემში პირველად დავინახე მამის სინათლე.

— აი, თქვენი მამა! — მიგვითითა დედაჩემმა უშველებელ, ლამაზ, თეთრ დათვზე, რომელიც იქვე იდგა.

სინათლემ თვალები მომჭრა, პირველად ვერა კი გავარჩიე მამაჩემი, მაგრამ თანდათან შევეჩვიე. თვალწინ არაჩვეულებრივი სილამაზე გადამეშალა, სულ თოვლი, თოვლი, მერე როგორი თეთრი და ბრწყინვალე! შორს, პირიზონტზე მოჩანდა ოკეანე, რომელშიც დასტურავდნენ უზარმაზარი ყინულის მთები. რა ლამაზი ციციო!.. მრუბლების არც ერთი ნაფლეთი არ იყო ლურჯ, მოკაშკაშე ცაზე!

მამაჩვენი მოგვიახლოვდა, ყველა სათითაოდ დაგვეცნო, და უცერად უკანა ფეხებზე შედგა, წინა თათები პაერში გადასუსდა. დედამაც იგივე გააკეთა, მათ ჩვენ მივბაძეთ, და ოთხივემ სიხარულით დავიწყეთ ცეკვა. შემდეგ მამამ და დედამ ბევრი გვათამაშეს... მალე მე და ჩემ დას მოგვეშვიდა, მოვადექით დედას და მანაც ძუძუ მოგვავსოვა.

— დროა ეხლა საქმლის საშოვრად გავსწიოთ! — უთხრა დედაჩემს მამამ, შენ ნახევარი წელიწადი უშველი იყავი, მოგშვიდებოდა აუცილებლად. აბა, შვილებო წაიდე!

ყველანი ადგილიდან დავიძარი... ოკეანის ნაპირს რომ მივალწიეთ, უცებ დედაჩემი წყალში ჩახტა, დაიწყო ცურვა და ყვინთვა, იქერდა თევზებს და თან სქამდა. როდესაც ამოვიდა, ძალიან კარგ გუნებაზე იყო, ისეთ კარგ გუნებაზე, რომ მამაჩემთან ჰქონდა კი დაიწყო. მე და ჩემი და ვიდექით იქვე და სიხარულით შეეყურებდით მშობლების ჰილობას. როდესაც ჰილობას მორჩინენ, ორივენი დაწვენენ იქვე, ოკეანის ნაპირას, დასასვენებლად. ჩვენ კი, პატარა ბელეები, შეეცოდით დედის ზურგზე და ჩაეთვლიეთ.

იმ დღიდან მზიარულად ვცხოვრობდით. გადავიდოდით ერთი ადგილიდან მეორეზე. დედაჩემი გეასწავლიდა ცურვას, ყვინთვას. ბევრს ვთამაშობდით და ვცოცხლობდით. როდესაც დავიღებოდით, ავცოცხდებოდით დედის ზურგზე და იქ ვისვენებდით, მაგრამ,





დედაჩენმა ყნოსვით იგრძნო, რომ გემოდან წამოლაგებულ ყუთებში შაში უნდა ყოფილიყო. სისუსხეემ წაგვძლია და ყუთებს მივეპარეთ.

— ყოჩაღ, რას ჩაიგემრილებდით პირს! — წამოიყმეტვლა მელამ და ძეტი სღელვარებით საგან უცაია თათებზე შედგა.

— ევლარ მოვასწარიო, — წარმოსთქვა სინანულით დათემა. — გემზე ადამიანები გამოჩნდნენ, თოფმა დაიჭუბა და ჩემი დაიკო დაიჭრა. მე და დედა კი შევეძლებდით თავის დაღწევას, მაგრამ ერთი ჩვეულება აქვთ დათეებს — დედა არასოდეს არ სტოვენებს თავის ბელებს არც დაჭრილს და არც ძველარს. დედამ არაფრით არ მიატოვა ჩემი დაიკო, მე კი ჯერ პატარა ვიყავი და ვერ გავბედე მარტოც ვაქცევა. ამასობაში ადამიანებმა მომიწურეს და გემზე წამოყვანეს. დიდხანს ვიმოგზაურეთ ზღვაში, დღითი დღე სულ უფრო და უფრო მაწუხებდა სიჭე.

თუ ზედმეტად ვიეშმაკებდით და დედას გაეზარახებდით, მაშინ ის ღონივრად ამოგვეკრავდა ცხვირს, და რამდენიმე მეტრზე გადაგვაგდებდა.

ერთ დღეს მამაჩემი დაგვემშვიდობა და წაიდა. მის შემდეგ მამა არ გვიიხახავს. ასეთი ჩვეულება აქვთ თეთრ დათეებს: მამადი, დედადათეს დაზარალებულს ბელებს და შემდეგ მიდის თავისთვის.

დაჭრილი მარტონი დედასთან დაედოვდით ყინულოვან მინდორებზე, ებანაობდით ყინულოვან ზღვაში, ვეჭერდით თევზებს, ვჭამდით პოლარული ფრინველების კვერცხებს...

— მერე, მერე! — მოუთმენლად წამოიძახა ფრინველების ხსენებაზე პირში ნერწყვილიდგარამა მელამ.

— ერთ დღეს. — განაგრძო დათემა, — ყინულებში გაჩერებული ვემი დავინახეთ.

— მერე, მერე! — ევლარ მოითმინა და სიჩუმე დაარღვია ბებერმა ლომმა.

— მერე რა, არაფერი! მას შემდეგ აქ ვარ... მართალია სიჭე მაწუხებს, მაგრამ საზრდოს საშუალებად ზეტაილი არ მჭირდება... ბავშვების ქრიალული ძლიერ მართობს. შეზღუდულება ხელს მიწყობს — თოვლივით თეთრი ვარ და მზახელი ბევრი მყავს. მეც თავი მომწირს. ვცხოვრობ ასე ადამიანთა ყურადღებითა და ზრუნვით გარემოცული ამ თბილ ქვეყანაში.

მხეცებმა ერთმანეთს კმაყოფილებით გადახედეს და მაღლობა უთხრეს თეთრ დათეს თავისი ნაამბობისათვის.

## ა ი რ ა ხ ლ ე ბ ა ა მ ე რ ი კ ა შ ი

ეს მოხდა ნიუ-იორკის ერთ-ერთ გარეუბანში. მოჩიბე პოლიციელმა, რომელიც ღამით ათვალეურებდა ერთ-ერთ ისეთ ქუჩას, სადაც ადამიანები ნაკლებად მოძრაობენ, შენიშნა ავტომანქანა, რომელიც მიდინოდა ქვედაილზე. პოლიციელმა მანქანამ რადიატორით ჩაატყურა სასაფრისოს ვიტრინა და შეჩერდა.

პოლიციელმა იფიქრა, რომ მას საქმე აქვს მთერალ შოფერთან, რომელსაც ალბათ მეექვსისა საჭესთან, — ასეთი მოკლეუნიები ტყვიის ნიულ-იორკში — და აღქმარებელი ნაბიჯით გაემართა მანქანისაკენ.

როცა პოლიციელმა მანქანის წინა კარი გაათო, ძეხად გაყვირებული დარჩა: საჭესთან მჯობი კაცი მველარი იყო.

გამოიძახეს ექიმი, ექიმმა დაადასტურა რომ შოფერი მოწამლული იყო ავტომანქანის მიერ გადატყვევებული აირით. თვითმკვლავლობის ეს არჩევულებრივი საშუალება ამერიკაში გამოწვეულია ამერიკელი სინამდვილისათვის ფრიად ძველი და ჩვეულებრივი მიზეზებით: სიღარიბით, შიმშილით და უმუშევრობით. სიგვემდე მისულმა შოფერმა გრძელი რეზინის მილი მიამაგრა ავტომანქანის მავუქსს, მისი თავისუფალი ბოლო შეიტანა ავტომანქანის კაბინაში, ჩაიკეტა შიგ და მანქანა გადაიყვანა პირველ სისწრაფეზე. რამდენიმე წნის შემდეგ შოფერი დაიხრია კაბინაში თანდათან დაგროვილი გადამტყვევებული აირით.



# სამეორის ვეყოფიან

გიორგი ლავაჯი

ნახ. გ. ფოცხიშვილისა

ორი ჩხიკვი მთის კალთებს  
ფლობდა მთელი სიძლიერით,  
იყენებდა მტელი მსუქნები,  
ძერებს ჭკაუდნენ სიძლიერით.  
უხვად ჰქონდათ საკმელი —  
კურკანტელი, მყავალი;  
ამაყობდნენ ხეხილს  
აყვავებულ ბაღნარით.  
ყავდათ ჩხიკვებს მეზობლად  
ბევრი კარგი ფრინველი...  
მაგრამ ერთ დღეს ამბავი  
მოხდა გასაკვირველი:  
ტყეში ეხოდ გაისმა  
ჰყვილი და ქაქანი. —  
თურმე შემოსეოდა  
მთას კურდღლების ლაშქარი.  
ზოგი ჯიხს მოათრევდა,  
ზოგს მოქონდა საგზალი,  
ქაქანით და ჰყვილით  
ჩხიკვებს დასცეს თავზარი.  
გულწმერთაღმა ჩხიკვებმა  
თქვეს: „ნამდვილად ომი!  
თუ ეს მხარე დაესტოვეთ,  
ამოდ გეიშრომია.  
თუ რამე არ ეიღონეთ,  
თუ არ გზოვეთ სახსნელი,  
ამგვარ მყუდრო ადგილას  
საღლა დავესახლებით?!  
იქნებ სტუმრად მოდიან,  
ენახით მათი ამქარი,  
იქნებ არც გვეომება  
ჩვენ კურდღლების ლაშქარი“.  
აგრე თქვეს და ჩაფრინდნენ  
მეწინავე კურდღლთან,  
თუმცა დაღონებულებს  
გული შიშით უძვევრათ.  
— როგორც ვატყობთ კურდღლებს  
მეთაური ბრძანდებით,  
თქვი საიდან მოდიხართ  
აქ რომ მოემგზავრებით?!  
ეს მთა სულ მთლად ჩვენია,  
თითქმის წელიწადია,  
ბრძოლას არ გავუქცევით,

თუ კი ომი ვწადით.  
— ბრძოლაში! აბა, რას ამბობთ!  
მებრძოლები როდღ ვართ,  
ჩვენ სამგორის ველიდან  
დაღლილები მოვდივართ.  
ახლა ამ მთის კალთებზე  
გვინდა თავშესაფარი,  
ჩვენს ამბავს თუ მოისმენთ,  
გეგონებთ ზღაპარი,  
ყველას გექონდა ოჯახი,  
ცოტა საკმელსასმელიც,  
თუმცა ხრიოც მინდვრებში  
გვადგა ცუდი სახლები.  
ღია იყო სტუმრისთვის  
ჩვენი სახლის კარები,  
ჩვენთვის, მყუდროდ ვცხოვრობდით,  
მშვილათ დროს ვატარებდით.  
ერთ მზიან დღეს ველ-მინდვრებს  
ხალხი შემოესია,  
სოროებში ჩაეძვრით-  
როგორც ჩვენი წესია,  
სალომოდე ეიყავით  
დამაღლელი სახლებში,  
მწელში ყოფნა გვეჩრჩია  
სულ ჩაეარინას საფრთხეში.  
ველს რომ ბინდი დაეცა,  
ზემოდ ამოვირბინეთ:  
ებდავთ ველზე აქა-იქ  
ციცხლის ალი ბობინებს.  
ახალთ-ახალ ბოძებზე  
ნათურები ჰკიდია,  
ღამით როგორ გათენდა,  
გევიყრის, რა ამინდია.  
გაეატარეთ ის დამე  
შიშით, გულის კანკალით,  
შვილებს ეეფერებოდით,  
ვისაც გვედგა აყვანი.  
სულ შვილებზე ვფიქრობდით,  
მათი დარღით ეიწეოდით,  
რა გველონა, რა გვექნა  
შიშით აღარ ეიცოდით,  
როცა დილა გათენდა,  
მინდორს ჩუმად გავხედეთ.

ამლიოციო ზოვა ხალხი,  
ხელში ბარებს არხედენენ.  
უზარმაზარ არხს თორიდა  
ხალხი—მთელი ქვეყანა,  
მიტხვლით, ველზე მდინარე  
უნდა გამოეყვანათ.  
ყურთა სმენას გვიწმობდა  
მანქანების გრალო, *გრალო*  
საღიაც ხრიოც მინდორში  
ძალიც ყვფდა ტიალი.  
მატულობდა თანდათან  
ხმები რაღაც მანქანის,  
სულ პირველად გვესმოდა  
მისი უცხო ქაქანი.

შევიკრიბეთ დედები —  
უფრო გამოცდილები,  
გადაწყვიტეთ, იქედან  
წაგვეყვანა შვილები.  
იმ დამეყე, საჩქაროდ  
მოვამზადეთ საგზალი,  
კარმიდამოს ვტოვებდით,  
ვიყავით გულდამწვარი.  
ბარგი მალე შეუყარით,  
ბევრი არ დაეხანეთ,  
გული აქეთ გვიწევდა,  
მოვამუშრეთ ამ მხარეს,  
თუ გწყინთ ჩვენი აქ მოსვლა  
და მთაც მართლა თქვენია,  
იმ მთას შევეხიზნებით,  
იქაც ხომ ბუჩქნებია!

— არა, აქვე დასახლდით,  
სტუმრებს ვერ შეგლევით,  
რა კარგები ყოფილხართ,  
თავზე შემოგველებით.  
ქვემო კალთა თქვენ გქონდეთ,  
ზემო ჩვენი წილია,  
სწორედ კარგ დროს მოხვედით,  
დღეს ჩვენი ქორწილია.  
იქ, მთის წვერზე გაბატეებთ  
ყველას, დიდს და პატარებს,  
სალამოხანს მობრძანდით,  
ლხინში დროს გავატარებთ.

\*\*\*

გაიხარეს კურდღლებმა,  
კვლავ მოაწყეს სახლკარი,  
კარგი სუფრაც გამართეს  
წამოღებულ საგზალით.  
დაწინენ, ტბილად იძინეს,  
მოასვენეს სხულნი,  
და როცა მთას მოადგა  
ჩრდილი შემოჩვეული,

ადგენენ, შეყვენენ მთის კალთებს,  
წასვლის დროთა—ბინდია,  
ქორწილია, ჩხიკებთან  
მოსალხენად მიდიან.  
რომ ავიდნენ მთის წვერზე,  
შედგნენ ლხინის მხიდველნი,  
სუფრას უსხდა გარშემო  
მრავალგვარი ფრინველი.  
ფეხზე ადგნენ ჩხიკები  
მორთულ-მოთაზმულები,  
სასმელები მიაართეს  
კურდღლებს დიდრონ სურებით.  
როცა შესეეს სტუმრებმა  
საღებრძელო პირველი,  
დაცქერდა ერთ კურდღელს  
ერთი თეთრი ფრინველი.

— უნდა იყო ხაცნობი,  
სადაური ბრძანდები?  
— სამგორიდან ვახლავართ,  
აქ დროებით მცხოვრები,  
თუ იმ ველზე ყოფილხარ,  
ალბათ გემასსოვრებით.  
— მეც იმ მინდორის მყვიდრი ვარ,  
ოი, თქვენ გენაცვალეთ,  
რა კარგია, ქორწილში  
შეგხვდით ნაცნობ ცანცალებს.  
მე სამგორის ველიდან  
დღეს აქ ჩამოვესახლე,  
ასე ვერ მოვილხენდი,  
თქვენ რომ არ დამენახეთ.  
აქ, სამგორის ველიდან  
ფრინველები ბევრია,  
თითქმის ყველა ჩვენია —  
ჩვენი მეზობლებია.  
გოძელდებოდა ქორწილი,  
ლხინი თავდავიწყებით,  
სიმღერების გუგუნით  
ზრიალებდა მთის წვერი.  
თინდებოდა, როცა სულ  
შეწყდა ცეკვა თამაში, —  
ცაზე მთეარე ღნებოდა  
ქარს იავნანაში.

\*\*\*

დილა გათენდა, მიდამოს  
ხალისით მზემ გაუტყინა,  
მთის წვერს მოჰფინა წათელი,  
იორი ააციმიციმა.  
იორის გაღმა სამგორში  
ამღერდა შრომის ლაშქარი  
და ყურს უგდებდა მის გუგუნს  
ქვეყანა დილით დამტკბარი.





# თურქი მასწავლებლის ჩანაწერიდან

## მაჰმუთ მაკალი



„ახალგაზრდობა ჩვენი იმედი, ჩვენი მომავალია, ამხანაგებო!“, — ამბობდა დიდი ბელადი ერთ-ერთ თავის გამოსვლაში. ბოლშევიკური პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი მშობლიური მწრუნველობითა და სიყვარულით ზრდის ბავშვებს, ჩვენი კვების იმედს, კომუნისმის მომავალ მწინებლებს. ყოველივე კარგი და საუკეთესო. რაც ჩვენს ხალხს შეუქმნია, მიმართულია საბჭოთა ბავშვების კეთილდღეობისაკენ. ბავშვების განკარგულებაშია დიდებული სახსრები, საუკეთესო კურორტები, კართო, ნათელი, მდიდარი ლაბორატორიებითა და ეპინტებით დამზარებული სკოლები, ტექნიკური სადგურები.

საჯანსაღო არაადრეგებ ბევრმა თქვენგანმა სოფლებში, პიონერთა ბანაკში, ბავშვთა დასახლებებში სახლებსა და სანატორიუმებში გაატარეთ, მიიღეთ წარსული შობადილები, თქვენი უბის წინაეხები ასალი, ძვირფასი დავიერებებით შეივსო. გონებრივად დასვენებულნი და ფიზიკურად გაჯანსაღებულნი, პირველ სტატუსის სიყვარულ სკოლებს დაუბრუნდით, რომ ახალი ენერჯით შეუდგეთ სწავლას და ბევრი შეცდომებით უახსოვო თქვენზე გაწეულ მშობლიურ ზრუნვას.

მაგრამ ყველგან ასეთ პირობებში როდის ცხოვრობენ თქვენი ტოლები. აი, კვერდ ვათავსებ ნაწევებს ახალგაზრდა თურქი მასწავლებლის მაჰმუთი მამასლის წიგნიდან „ჩვენი სოფელი“. წიგნი მოთხრობილია იმ სასიწული სიღატაკისა და ტანჯვის შესახებ, რასაც თურქი ხალხი განიცდის. წიგნი გამოსვლისთანავე თურქეთის ხელისუფლებმა დააბატონეს ავტორი, მაგრამ სასამართლო იძულებული გახდა გამოართვებოდა იგი, რადგან ყოველივე ის, რასაც მამაუთი მაკალი წერს, მწარე სიწარულია და ხალხისგან მისი დეჟარა ანატიფიკური დონისძებებითა და ტერიორი არ შეიქმნება.

★

ბავშვები. ჩვენი სკოლის მახლობლად სამი მეზობელი ცხოვრობს. თითოეულ მათგანს ჰყავს ბავშვები. სოფლის ამ განაპირა სახლების მცხოვრებლები სხეებზე უფრო ჩამორჩენილები არიან. ზამთარში ისინი სახლიდან გამოდიან მხოლოდ უკიდურესი საჭიროების დროს, გამოდიან მხოლოდ ეზოში. ამ გლეხების შეილება მთლად გავეღუტდნენ. როგორც არ ვიცავდე მიმიჩვია ისინი. მათ არ სურდათ ჩემთან ლაპარაკი. ისინი ლაპარაკობენ მეტწილად ხელუბით, ვიდრე სიტყვებით. მე მათ ეუთხარა, რომ შეპარს მიეცემა ამ მხოლოდ ამის შემდეგ დაწყებებო შეგებმა სიარული. ისინი ძალიან ქუჭყიანები არიან. რამდენჯერმე დავაქერი ფრჩხილები, რომლებიც ერთი სანტიმეტრი სიგრძისა იყო. რამდენჯერმე საპნით დავებანე ხელპირი და ფეხები.

ერთხელ მათი მამა მოვიდა და დარცხვენით მითხრა:



მაჰმუთ მაკალი

— გთხოვ, ნუ მიჩვევ ბავშვებს სისუფთავეს, გარკვე აქედან, ნუ აჩვევ შეპარს. ისინი გაუფუძლებიან. მე მას ეუთხარა, რომ არ შეიძლება ბავშვები ასეთი ქუჭყიანები იყვნენ. მან მიპასუხა:

— ეს ოდითვე ასეა. რასაც შენ ამბობ, მართალია, მაგრამ ჩვენში ხომ ყველა ასე ცხოვრობს. შენ ხომ იცი ჩვენი მდგომარეობა...

**ჩვენი სკოლა.** ჩვენს სოფელში 700-მდე მცხოვრებია. წელს სოფელში პირველად გაიხსნა სკოლა. გლეხებმა რის ვიოვავლასით ნაძვით და ისლათი გადახურეს, დაფარეს ოთხი კედელი. კედლები აშენდა 1945 წელს. წელს რომ სახურავი არ დაეფარათ, კედლები დაინგრეოდა. 1936 წელსაც აშენდა ოთხი კედელი, სახურავის გაკეთება ვერ მოახერხეს, კედლები დაინგრა და გლეხებმა აფერი დაიტაცეს.

სანამ სკოლა მზად არ იყო, ჩვენ მეჩეთში ემეცადინებოდით, მაგრამ მეჩეთში მეცადი ნეობის ნებაართვის მძლევა ძალიან ძნელი იყო. მთლა ჯიუტობდა. ის ამბობდა: „შე ნებას არ მოგცემთ, რომ მეჩეთში არარელოგული სკოლა გახსნათ“. გლეხები მას მხარს უჭერდნენ. როცა სოფელში ჩავედი ისინი დავიყვამულე.

ორ თვეს მეჩეთში ვმეცადინებოდა, შემდეგ სკოლაში გადავედი. არაკეთილი მოწყობილობა არ არის. ვსხედვართ ცხერის ტყავებზე. კლასში არ არის არც მერხები, არც საკლასო დაფა.

...ჩემს სკოლაში 50-60 მოსწავლე სწავლობს. თებერვლის დამდეგამდე ჩვენ სიცივით ვკანკალბდით და ასე თუ ისე ვმეცადინებოდით. თებერვალში გამოგველა სათბობის ყოველგვარი მარაგი, და მდგომარეობა გაართულდა. აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ორ მოსწავლეს ჰქონდა ხაკელი, მაგრამ ესენი ქულაქების შეილება, ამიტომ მე ვერც კი ვაძებდე შეთხოვნა მათთვის მოეტანათ სათბობი სკოლაში. დღისით მე კიდევ ასე თუ ისე ვმუშაობ, მაგრამ მოსალამოვდება თუ არა, ვხივარ, არაფერს ვაკეთებ და სიცივით ვკანკალბ. ჩვენ ვწვავდით რვეულებსა და წიგნებს, რომ აპრილამდე მიგვეღწია. მოზრდილი ადამიანები ძნელად იტანენ ზამთარს, ბავშვები კი იღუპებიან. ერთ წლამდე ასაკის ბავშვები სოფელში არც ერთი არ დარჩენილა — ყველა დაიღუპა. სიცივემ და ავადმყოფობამ მოსპო ეს პაწაწინები.

სკოლა აღარ გვაქვს. სკოლა ამუნებელი იყო ზეთი წლის წინათ. შენობა არაფრით გახსხვედებოდა იმ ნაგებობისაგან, რომელსაც ბავშვები თიხისაგან აკეთებენ. თიხის კედლები წვიმას ჩამოურეცხავს. კარი და თანჯარები ჩამოგრებულია. ჩვენ რის ვაივაგლახით ვმეცადინებოდით ამ სკოლაში. წარსულ შაბათს დედამიძე ავად გახდა და მე ორი დღით წავედი ჩემს სოფელში. როცა ორი დღის შემდეგ დაებრუნდი, სკოლა ნანგრევებად ქცეულიყო. გლეხებმა მითხრეს: „ჩემიმამ დაანგრიათ“. ხელში ვიღებ დანგრეულ აგურს და იგი იფშენება, როგორც გამხმარი ცომი. ერთად ერთი ნუგეშია, რომ სკოლაში არ ვიყავი, როცა ის დაინგრა. მაგრამ რა ვქნათ ახლა? შეკეთება შეუძლებელია: არ არის სამირკველი. ახალი სკოლის აგება მთელი პრობლემაა.

როგორ იყვებიან ბავშვები. ბავშვებს თვალები უსიცოცხლო აქვთ, სახეები ვაჭყვინტარებული. ისინი გამხრები და მორჩილი არიან... ბავშვები კი მსუქნები, ჯანსაღები, ვარდისფერები უნდა იყვნენ. სად ნახავთ ასეთ ბავშვებს? ისინი ჯერ ათი წლისანაც არ არიან და უკვე გამოფიტულან და დამწუხრებულან... მე შევამოწმე, როგორ იყვებიან ჩემი მოწაფეები სახლში. აი შედეგი ჩემი შემოწმებისა მეორე კლასის მოწაფეთა შორის: მეორე კლასში 30 მოწაფე მყავს. შევამოწმე სამჯერ: ოქტომბერში, იანვარსა და აპრილში. ამრიგად, შეიძლება დავადგინოთ, როგორ იყვებიან ისინი შემოდგონაზე, ზამთარში და გაზაფხულზე. შაბათს, 9 ოქტომბერს პირველი გაკვეთილის შემდეგ რიგრიგობით გამოვკითხე ბავშვებს. ამ დღეს 20 მოწაფე სკოლაში სრულიად მშვიდი მოვიდა, მათ არაფერი ექამათ, 10 მოწაფეს მხოლოდ ხმელი პური ექამა. 11 ოქტომბერს სალამოს ყველა მოწაფეს ექამა მხოლოდ პური და გათუთქული საზამთრო. მეორედ შევამოწმე ზეთშაბათს, 20 იანვარს, სადილის შემდეგ. ოთხ მოწაფეს ექამა სამარხუო წვენი, 6 მოწაფეს — ქაში, 16 მოწაფეს — შემწვარი პური; 2 ბავშვს დედები სახლში არ დახვედროდათ და სკოლაში მშვიდრები მოვიდნენ; დანარჩენებს ექამათ ზახვი მარილი. დადგა გაზაფხული, პროდუქტები გამოილია. ფქვილიც კი აღარ იყო. ახლა ყველა ქამს ქამს მაწენით, დღით და სალამოს ერთი და იფივის. პირველ აპრილს 12 მოწაფე მშვიდია, 11 მოწაფეს უქამია ხმელი პური, 7 მოწაფეს — ქაში, ხოლო სადილათ ყველას მხოლოდ ქაში უქამია. როცა მე ვამბობ „ქაში“, თქვენ არ იფიქროთ, რომ ეს რაღაც გემრიელი და ნოყიერია. აქ ქამს უწოდებენ დაფქვილი ცერცვისაგან ან გამხმარი ბალახისაგან გაკეთებულ საქმელს. ქალები და ქალიშვილები გაზაფხულზე აგროვებენ ამ ბალახს, ამაროვებენ და ქამენ პურთან ერთად, ან წყალში ხარშავენ და ისე ქამენ.





# თითების დაჯა

ილია სისხარულიძე

თქვეულება

ნახ. გლებ დიკისა

ერთხელ თითინ წაიკიდნენ,  
ჰქონდათ ცხარე დაეა,  
მოიხსენეს ერთმანეთი  
უდიერად, ავად;  
იკეხნიდნენ თავის ამაგს,  
თავთავიანთ საქმეს,—  
ერთმანეთის მნიშვნელობა  
დაამცირეს, დაჰგმეს;  
დაჰგმეს ძმობა-მეგობრობა,  
ერთად გარჯა, შრომა,  
ერთმანეთის დახმარება,  
მხარში ამოვლგომა.

ცერმა თქვა: მე თითებს შორის  
ვარ თავიდათავი,  
ყველა საქმის წამომწყები,  
მხნე და გამბედავი;

უჩემოდ ხელს შეუძლია  
რაიმეს დაქერა?  
ან აღება, ან დაღება,  
ან ხატვა, ან წერა?!

მადლი გამჩენს, რომ ბუნებას  
შეეუქმნივარ ცერად!—  
თქვა და თითებს მან შეხედა  
კუშტად, აღმაცერად.

სალოკ თითს რომ ყურს ჩაესმა  
ცერის სჯა-ბაასი,  
უთხრა:—ცერო, შენ უჩემოდ,  
აბა, რა გაქვს ფასი?!

მე რომ მუდამ არ გშველოდე,  
გვირდს არ გედგე მუდამ,  
შენ რას იზამ? ამიტომაც  
მიფასებდე უნდა!

იქნება შენ არც კი იცი,  
„სალოკი“ რად მქვიან?  
პირს საქმელებს ვალოკებდი,  
„სალოკს“ მეძახიან.  
დღეს არავინ აღარ მლოკავს,  
დღეს კოვზს ხმარობს ყველა,  
მაგრამ ახლაც პატივში ვარ,  
როგორც წინათ, ძველად!

შუათითმა ცერს და სალოკს  
გადახედა ცივად;  
შეუბღვირა:—დაგავიწყდათ,  
მე რომ უფროსი ვარ?!

აბა როგორ შემედრება  
რომელიმე თითი?!

მე ყველაზე მაღალი ვარ  
და ყველაზე დიდი!  
ოარი თითით წერა, ხატვა  
გაგონილა სადმე?  
უჩემოდ რას გააკეთებთ?  
წაგიხდებათ საქმე!


არათითამ ამოიღო  
ხმა და ეს გაბედა:  
—ვერ მივმხვდარვარ  
„არათითი“ რად მიწოდეს, ნეტავ?!

რით არა ვარ, აბა, თითი?!

რად არ მთვლიან თითად?!

შუათითს, ცერს და სალოკსაც  
თავი მოაქეთ დიდად!

ჩემს მეტს ყველას სახელი აქვს,  
უსახელო მე ვარ!...  
მიკვირს, ჩემთვის რად შეშურდათ  
სახელის დარქმევა?..



ბოლოს ნეკიც ახმაურდა,  
 თქვა:—მისმინეთ ერთი!  
 ხუთ თითში მეც ვიხსენები,  
 არც მე ვარ ზედმეტი!  
 ტანად თუმცა პატარა ვარ,  
 მე არ მწუნობს ხელი!  
 არაითის სულ გვერდში ვყავარ  
 და ყოველთვის ვშველი!  
 მე თუ არა, თქვით სიმაართლე,  
 ხელი რამეს დასწერს?!
 საყდენი ვარ, და სიმძიმე  
 წერის დროს მე მაწევს!  
 ყველა თითი ჩემს წინა დგას,  
 თავი მოსწონთ... მე კი  
 ჩემთვისა ვარ, ხელის ბოლოს  
 პაწაწინა ნეკი!  
 და თითებმა ამნიარად  
 დაგმეს ერთმანეთი;  
 ყველას სურდა, ყოფილიყო  
 ქვეყნად თვითონ, ერთი!  
 დაიჭირეს სათითაოდ  
 ცალკე გზა და ხიდი;  
 თითს თუ თითი გვერდს არ უდგას,  
 რას გახდება თითი?!
 ცერი სალოკს თუ არ ჰშველის,  
 მასთან შუათითიც,

განა საქმე გავეთდება  
 პატარა ან დიდი?!  
 ანდა ნეკი, არაითითი  
 ზედმეტია განა?!
 ისინიც ხომ სხვებს ჰშველიან  
 და მხარში უდგანან?!.  
 ცალ-ცალკე რომ ვერას გახდნენ  
 დაინახეს მაშინ,  
 რომ ყოფილა უძლიევილი  
 ძალა ერთობაში!  
 ამის შემდეგ ხუთი თითი,  
 ეს ღვიძლი ძმა ხუთი,  
 ერთად, ძმურად რომ არ იყვნენ,  
 არ იქნება წუთი!  
 თვალად, ტანად, ძალით, ღონით  
 სხვადასხვაა ყველა,  
 მაგრამ უყვართ ერთმანეთის  
 დახმარება, შველა!  
 და როდესაც მტერს უტივენ  
 ბრაზით, რისხვით, კუშტად,  
 მაშინ ყველა ტოლად, სწორად  
 შეიკვრება მუშტად!  
 მათში უფროს-უმცროსობას  
 აქვს პატივი დიდი!  
 თითს რომ თითი გვერდში უდგას,  
 მაშინ თითობს თითი!







# მეგობრობა

უკრაინის ერთ-ერთი პატარა ქალაქი, სახელად მირგოროდი განსაკუთრებით ცნობილი და საყვარელი გახდა ქართველი ხალხსათვის. აქ, მოძვე უკრაინელმა ხალხმა აღმოაჩინა და უფლებას მიწრუნელობით დაიცვა მე-18 საუკუნის დიდი ქართველი პოეტის დიდი გურამიშვილის საფლავი. ამ პატარა ქალაქში — მირგოროდში და გარშემოწერილობით ქართველი პოეტის გურამიშვილის საფლავის წახევა განიხილავს პიონერთა სახალისი მოსწავლეთა და მასწავლებელთა ერთობა. ეს იყო გასული წლის აგვისტოში, სწორედ იმ დღეებში, როდესაც გახვედნის ვრცელად გავრცელებულ და გურამიშვილის საფლავზე ძეგლის გახსნას უკრაინაში გამგზავრება გადაწყდა. უნაზღვრო იყო ამ შორეული და სასუფოარი ექსკურსიის მოწვეული მღვდლის სისარული. ზოგი მთავარი ხელმძღვანელი შეუდგა გურამიშვილის უყვადვი შემოქმედების შესწავლას, ზოგმა ქართველი კლასიკოსების სტუდიებიდან წაწა შედარება, გურამიშვილის სამხატვრო მუსიკატივედად, ზოგი კი საქართველოს ცოცხალი უწყველობით უქარბოდა ძვირფასი საფლავის დამწვევებას.

და ამ მოსწავლეები მირგოროდში არიან. ქალაქი გერ კედე ძინა. — წერს თავის დღურაში ექსკურსიის მოწვეული გოგონა მ. მრედაშვილი. — საერთო სინამდის ჩვენი თავმჯდომარეული ძეგრტრული და ოთხთავალი ქრალი არდაყვდა. მალე ვერო გზა ფარავ ქუჩამ შესცვალა. ორივე მხრივ ჩამწკრივებული ხეების ჩრდილი დილის სგარლის უფრო ამბდრედა. გზის აქეთ-იქით გაწალა. გრეტული სახლები უმოაგრესად ერთსაბუნობლიანი იყო. ოთხრად შედესილი. გარედან შემბულ დარბაზებს დილის ნიაჭ აქეთ-იქით აქანებდა და კიდელზე ასულ უყვადლარის უმოწყალოდ ახლებდა.

ქალაქის ცენტრში ვართ. საათი 7 ს უჩვენებს. ჩვენ შეგბო ამოვიღსუნეთო: მივაღწეით სოცენბო ადვრლს!  
არ გაიარა დღმა ხანმა და ჩვენს წინ გზაზე მომა. ვალი ორი ქალი შეტრდა, ისინი შორიდანვე ცნობის. მოყვარეობით გვათვალერებდნენ, რადგანაც იქაურებს არ ვგავლით არც იერთი, არც მეტველებით. ერთ-ერთმა მთავანმა ზედმიწედი კითხვები მოგვაყარა: ვინ ვიყავი, საიდან ჩამოვედი, მავრამ პასუხს არ მოუცადა, სახეზე ხელი შემოიჭრა და წარმოხსენა: „თბილისის პიონერთა სახალა“. — ეს მან ჩვენი სამკერდე ნიშნებიან ამოიკითხა“.

ჩვენი ექსკურსანტების ეს პირველი მასპინძლები მირგოროდის მასწავლებლები აღმოჩნდნენ, მასწავლებლები იმ სასუფოლო სკოლისა, რომელიც დიდი გურამიშვილის სახელს ატარებს. აი ამ წუთიდან დაიწყო მეგობრობა, თბილი, ურღვევი მეგობრობა თბილისის პიონერთა სახალისა და მირგოროდის გურამიშვილის სახელბობის სასუფოლო სკოლის მოსწავლეთა შორის.

— შეუმღებელია სიტყვით ვაღმოცემა იმ გულწრფელი და სიყვარულით აღსავსე მასპინძლობისა, რომელიც ვამოიჩინეს ამ სკოლის, თუ სხვა სკოლებიდან მოსულმა მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა, — ამბობდნენ ბავშვები უკრაინიდან დაბრუნების შემდეგ. განსაკუთრებით წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ქართველ მოსწავლეებზე იმ თბილმა და სასიგნო შეხვედრამ, რომელიც მათ დ. გურამიშვილის სახელბობის სკოლამ მოუწყო.

„მოთხზბლავ სურათს წარმოავადენდა ათასფრად აქრელებული ენო, რომელიც ასული მომდობარ ბავშვით და მათი მოზბლებით იყო გავსებული. ამ სურათის კედე უფრო ამშვენებდა ნაციონალურ ტანსაცმელში გაბრწყინილი ბავშვების ორმხრივი მწყრავი. ვლავლით. არ ვიცი როგორ მოვიკეთი. მივუხბლავდი ძვირფას მასპინძლებს. ჩვენს წინ თბიკულების ხეივანი აღმოჩნა. შუაში ჩვენ უნდა გავველოთ. „ერთი იყოს თქვენი მოზბანება!“ — მოგვცხმა უყვე სკოლის დირექტორის ნაცოლის ხმა. ატყდა ტანის გრალი და მგზნებარე შემბილიები ქართულ და უკრაინულ ენებზე“. — იგონებს ექსკურსიის ერთ-ერთი მოწვეული.

სკოლის გულუბვი გამასპინძლების შემდეგ ჩვენი მოსწავლეები, უკრაინელ მეგობრბობთან ერთად, მოძღვნილი თბიკულებით და საქართველოდან წადრბული ცოცხალი უყვარელობით ხელში, გურამიშვილის საფლავისაკენ გაემარბნენ. გზის მარჯვენა მხარეს სასუფოლო ვამოჩინა. მალე ბავშვებმა შავი მარმარილოს ძეგლიც შენიშნეს.

**„ღვნიტი უზრამიშვილი.**  
მოძვე ქართველი ხალხის დიდი პოეტი.  
1705-1792“.

ამოიკითხეს ბავშვებმა, უკრაინული წარწერის ქვეშ. ქართული წარწერა. სასაფოლოზე სახელდახლო მობინგი ვამარბო. ქართველი და უკრაინული ბავშვები ღლამარკობდნენ დიდ ქართველ პოეტზე, ხალხთა დიად სტალინურ მეგობრობაზე, თავიანი ბღნიერ ბავშვებაზე.

„მადლობა შენ, უკრაინის მიწაწალო. რომელმაც მშობლიური კალთა გადაფარე სამშობლის სიყვარულით ჩაფერტლილ ქართველ მეგობანს“. — ამ სიტყ-

გებთან ერთად ათეული ბავშვი დაიხარა და ცოცხალი ყვავილებით შეამკო პოეტის სამარე.

უკრაინელი მეგობრები დაკინებთ სიზხოვდენენ ქართულ სტუმრებს გაგვზავნათ მათთვის ქართული ენის სახელმძღვანელოები. რადგან ქართული ენის შესწავლა გვაქვს განზრახული. საქართველოში დაბრუნებისთანავე მოსწავლეებმა გულდსებით შეაგროვეს შესაფერისი სახელმძღვანელოები, გააშუადეს წერილი და ამანათი ძვირფასი მეგობრებისათვის. წინებთან ერთად ამანათში ჩაწყობილი იყო ჩურჩხლეტები და ქართული ტაბილეტი.

მაღე უკრაინიდან წერილი მოვიდა:

„ჩვენ უღიდეს მადლობას გიძღვნიტ ჩვენდამი თბილი და მეგობრული დამოკიდებულებებისთვის, აგრეთვე გამოგზავნილი საჩუქრისათვის. — წერდნენ შირაგორიძის დავით გურამიშვილის სახელობის სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები. — ის დღე, როდესაც თქვენგან წერილი მივიღეთ, ჩვენთვის უღიდესი ზემოის დღედ იქცა. სკოლაში შედგა საზეიმო კრება, რომელზედაც მოსწავლეები მადლობის სიტყვებით მიმართავენდნენ მოძმე საქართველოს ხალხს იმისათვის, რომ შინ აღზარდა კაცობრიობის გენია დიდი სტალინი.“

დაუვიწყარია ჩვენთვის ის დღე, როდესაც თქვენ, ძვირფასო სტუმრებო, გვეწვიეთ აქ. ეს იყო ქართველი და უკრაინელი ხალხის დიადი მეგობრობის გამო.

ხატულმა. გირდებით, შევისწავლოთ ქართული ენა, რომ შემდგომში შევძლოთ ქართულად მოგვსაუბროთ. შეგდებ წერილი აღნიშნავდნენ, რომ მათ უსკვე შეისწავლეს ხუთი ქართული სიმღერა და წარმატებით შეასრულეს ეს სიმღერები ბავშვთა რაიონულ ოლიმპიადზე. თავის საბასუხო წერილში ჩვენი პიონერები სწერენ:

„არ არის იმაზე ძვირფასი და საამაყო, ვიდრე ცხოვრობდე ისეთ ქვეყანაში, სადაც წაშლილია ათას კილომეტრიათი ზღვარი და სხვადასხვა ერის წარმომადგენლები დეკავშირებულნი არიან ერთი აზრით, ერთი მისწრაფებით, ერთი სურვილითა და ერთიანი მოქმედებით. ასეთია ჩვენი ქვეყანა, სოციალისტური ქვეყანა.“

თბილისელი და მირგოროდელი მოსწავლეების გული ისევე, როგორც ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყველა პატარა მოქალაქის გული, მადლობის გრძნობითაა აღსავსე საბჭოთა მთავრობისადმი, სადაც არელი სტალინისადმი, იმ აღმანინსადმი, ვინც მიანიჭა ბავშვებს ბედნიერი აწუხო და ნათელი მომავალი, ვინც საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა კავშირის შრავალ მილიონინს ხალხთა დიად მეგობრობას.

ილ. ანკაძე.

ლ. პ. ბერკას სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ღირეკტორი.



## მადნეულობის დაფუძავება ძველ ქართველ ტომებს შორის

ქართველ ტომებს მადნეულობის დაფუძავებაში საპატიო ღვაწლი მიუძღვით ძველი გახათლებული კაცობრიობის წინაშე... ქართველ ტომებს მარტო თავიანთთვის კი არ უჭეთებიათ მადნეული, ჭურჭელი და იარაღი, არამედ შორეულ ქვეყნებშიც მიჰქირანდათ ის გასაყიდად. ქართველების სპილენძისა და რკინის ნაწარმები განთქმული იყო საბერძნეთშიც; ძველ ქართულ ენაში და მის ენაყოლოკაებშიც არც ერთი მადნის სახელი არ მოიპოვება, რომელიც უცხო ენიდან ყოფილიყოს შეთვისებული. მაგალითად, იჭრო, ვერცხლი, თითბერი, სპილენძი, რკინა, ტყეა... ყველა ეს მადნეულის სახელები ნამდვილი ქართული წარმოშობისაა და უცხო ენიდან წაესხებები არ არის. პირიქით, შედარებითი ენათმეცნიერება ამტკიცებს,

რომ ბევრი მადნეულის სახელი სხვა ერებს ქართველ ტომებისაგან შეუთვისებიათ. ძველი ბერძენი მწერლები აღიარებენ, რომ საუკეთესო სპილენძის ნივთები საქართველოდან გამოჰქირანათო. ...რკინის, განსაკუთრებით ფოლადის მომზადებაც ბერძნებს, როგორც ეტყობა, პირველად ქართველ ტომებისაგან შეუწავლევიათ ეს ფოლადის ბერძნული სახელიდანაც ჩანს: „ხალტბდიეოს“—ხალიბების ტომის სახელწოდებისაგან არის წარმომდგარი და ხალიბურსა ნიშნავს. მართლაც, ხალიბების გაკეთებული რკინის ნივთები განთქმული იყო. სხვა ფაქტებითაც მტკიცდება, რომ ქართველ ტომებს მადნეულობის დაფუძავებაში კაცობრიობის წინაშე საპატიო ღვაწლი მიუძღვით.


# ნიჭით და შრომით

— „დიდ სტალინს პატარა გორელებსაგან“. ლექსი პოეტ-აკადემიკოს იოსებ გრიშაშვილისა. — ბევრ ჩვენთაგანს მოუსმენია სტენიდან ნორჩი დეკლამატორის ეს სიტყვები ლექსის წაკითხვის წინ. კარგახანია, რაც საყვარელ პოეტს აკადემიკოსის წოდებით ვიცნობთ, წელს კი მას კვლავ ახალი მაღალი დაფასება ერგო — მთავრობამ სტალინური პრემიის ლაურეატობა მიანიჭა.

დიდმა და პატარამ კარგად ვიცით, რომ აკადემიკოსად გახდომისათვის ჩვეულებრივ საჭიროა, არა მარტო საშუალო სკოლის კურსის, არამედ უმაღლესი სასწავლებლის წარმატებით დამთავრება, კიდევ დიდი, შეუპოვარი და ხანგრძლივი მუშაობა მეცნიერების მწვერვალების დასაპყრობად, ხოლო შემდეგ მეცნიერების საგანძურში რაიმე ახლისა და მნიშვნელოვანის შეტანა.

ი. გრიშაშვილმა კი ძველ დღეებში პირობებში მხოლოდ სამი წელიწადი იარა სკოლაში, შემდეგ სიღარიბის გამო სწავლის ფული ვერ ღარ შეიტანა და სკოლიდანაც დიდიხვედს. „ქართულ სათავადაზნაურო გინანაზიდან — გვიამბობს პოეტი — მხოლოდ ქართული წიგნის სიყვარული გამომყვია“. შემდეგ ი. გრიშაშვილისათვის ის პატარა ბიბლიოთეკა გადაიქცა ნამდვილ სკოლად, რომელიც ერთ მეტრეს — გიორგი ლუბანიძეს ჰქონდა. უდიდესი გატაცებით კითხულობდა წიგნებს და მერე თავისი უბნის—ხარფუხის მცხოვრებლებს — ხელისწინებდა და ამჭრის წევრებსაც უყიფებდა. ქართულ წიგნებს დაწვრილებულ ქაბულს მეტურე კაცის ბიბლიოთეკა აბა რა დიდხანს ეყოფოდა—მაღლ ყველა წიგნი გადაიკითხა. ახლა საჭირო იყო ახალი ბიბლიოთეკის შექმნა. ამ საქმისათვის მას მძლავრ პქონდა ფული ცხვირსაბოცის კუთხეში გამოინახეული. პოეტი ხელცარიელი იშვიათად თუ დაბრუნდებოდა შინ, ყოველ საღამოს ხარფუხში იმ აღმართით, რომელსაც ამჟამად „გრიშაშვილის ქუჩა“ ჰქვია, წიგნებით ხელში მიიმედ მიაბიჯებდა თავისი სახლისაკენ. თევზისა და წლების განმავლობაში იზრდებოდა ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა. რამდენიმე ათასი ძვირფასი წიგნი ითვლება დღეს ამ ბიბლიოთეკაში. პოეტმა თავის დაბადებიდან 60 წლისთავზე სთქვა: ამ წიგნებს ისევ უკან ვებრუნებ საქარბთველს მშრომელ ხალხსა.

ყრობის წლებიდან დღევანდლამდე შერჩა პოეტს საუკეთესო თვისება — ახალი წიგნების ჯერ წაკითხვა, თავისი შენიშვნების



პოეტი—აკადემიკოსი ი. გრიშაშვილი თავის ბიბლიოთეკაში

გაყვება და მხოლოდ ამის შემდეგ თაროზე დაწყობა.

თუითან პოეტი თავისი გამოცდილებით ეუბნება მომავალ ახალგაზრდობას: „ცარიელი ნიჭი არაფერია, თუ მას შრომა არ ახლას“. და მართლაც წიგნის წაკითხვა, მასში ჩაქსოვილი აზრების შეთვისება, გადამუშავება ადამიანის გონების განვითარების ერთ-ერთი ძვირფასი წყაროა. ასეთი მუშაობით გამოჩნდა ი. გრიშაშვილის ნიჭი მრავალი შესანიშნავი მხატვრული ნაწარმოებით. დღევანდლამდე მას გამოცემული აქვს ორმოცდაათამდე სხვადასხვა სახელწოდების წიგნი. დიდი ნაყოფიერებით მუშაობს ი. გრიშაშვილი საბავშვო პოეზიაში. მისი საბავშვო ლექსები ქართული საბავშვო ლიტერატურის ძვირფასი შენაძენია.

წელს, იოსებ გრიშაშვილმა სტალინური პრემიის ლაურეატის მაღალი წოდება მიიღო ლექსების ერთტომეულისათვის.

პოეტმა 'ამ მაღალ წარმატებებს ნიჭით და შრომით მიაღწია.

ლავრენგი ჭიჭინაძე



### ქარგი სარუჯარი ნორჩ მკითხველს

რევოლუციის ტოლუპოვარმა პოეტმა ვლადიმერ ვლადიმერის-ძე მაიაკოვსკიმ ბრძოლისა და შემოქმედების 20 წლის მანძილზე, ჩაუყარა რა მტკიცე საფუძველი საბჭოთა პოეზიას, — შექმნა მრავალი უცვლადი ნაწარმოები.

დიდი პოეტის მებრძოლმა პოეზიამ უდიდესი გავლენა მოახდინა მსოფლიოს რევოლუციურ პოეზიაზე. ცნობილი ფრანგი მწერალი ლუი არაგონი ამბობს: „პოეტმა ვლადიმერ მაიაკოვსკიმ შემასწავლა მე, რომ უნდა მიემართო ადამიანთა მილიონებს, იმით, ვისაც სურთ სამყაროს გარდაქმნა“.

სოციალისტური პოეზიის პირველი კლასიკოსი ვლადიმერ მაიაკოვსკი გატაცებით მუშაობდა მებრძოლი საბჭოური წიგნის შესაქმნელად, ისეთი ნაწარმოებების შესაქმნელად, რომელიც მოზარდში კიდევ უფრო გააღვიძებს სამშობლოსადმი სიყვარულს, მტრებისადმი სიძულვილს.

ვლადიმერ მაიაკოვსკი ბავშვებისათვის ლექსებს წერდა სიყვარულით, მაღალი ოსტატობით.

ამს წინათ „საბლიტგამმა“ ქართულ ენაზე ცალკე წიგნად გამოისცა ვლადიმერ მაიაკოვსკის საბჭოური ლექსები: „წაიკითხე, გაგამ“.

გზავრებს, — პარიზს, ჩინეთს მოგატარებს. ახალგაზრდობის საყვარელი პოეტი მკითხველში აღვიძებს ქვეყნების ნახვის, მოგზაურობებისა და ტურისტული ლაშქრობების სურვილს.

ვლადიმერ ვლადიმერის-ძე ამბობს: „თუ ოცნებობს ბიჭი, გოგო: გავემგზავრო საო? და როგორ? გაგამგზავრებს ეს სიმღერა, ზღვიებს და ქვეყნებს გადასერავთ“.

მაგრამ ქვეყნებს შორის არის ერთი ქვეყანა — მშვიდობის ბურჯი, თავისუფლებისმოყვარე ხალხთა იმელი და მედროშე. ესაა დიდი საბჭოთა კავშირი, რომლის გულში — მოსკოვში, კრემლში მსოფლიოს მშრომელთათვის ზრუნავს თანამედროვეობის უდიდესი ადამიანი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

ამიტომ მკითხველს ხიბლავს პოეტი-პატრიოტის შესანიშნავი უბადლო თქმა:

„დასაწყისი დედამიწის  
ქრემლი არის —  
ყველამ იცის“.

ვლადიმერ მაიაკოვსკი თავისი შესანიშნავი ლექსებით იბრძვის ხალხთა მეგობრობის განსამტკიცებლად. სხვადასხვა ქვეყნის ადამიანთა მტკიცე, ერთობლივი კავშირი ამავე გრძობის გაღვივებას იწვევს ბავშვთა შორისაც:

„ჩინელი ბიჭი რუს ბიჭს შეხარის  
და ეგებება მას,  
როგორც ძმა ძმას“.

აი ლექსი: „ფურცელი გადამლილო, გვაჩვენე ლიში ან სპილო“. პოეტს ნორჩი მკითხველი დაჰყავს ცხოველთა სამყაროში „გადუშალეთ ფურცელი რად მოგიკვიციათ?! ამ წიგნში ბევრნაირი მხეცია“.

აქ პოეტური თბობაა: ლომზე, სპილოზე, ნიანგზე, აქლემზე, ვირაფზე, კენგურუზე. კარგია „სამაისო სიმღერა“. ეს წინსვლის, სიხარულის, ზეიმის თავისებური ჰიმნია.

„გაპქრა ზამთარი; აზურმუხტდა ტყე, რაზმი მზად არის, მეც, შენც, ჩვენც“.

ნორჩი მკითხველი კმაყოფილი ჰხურავს წიგნს.

ლექსები ვასილ ლაფერამეილის მიერ თარგმნილია კარგად. ქართული ტექსტი ახლოსაა დედამიწის და, რაც მთავარია, არ იკარგება ვლადიმერ მაიაკოვსკისათვის დამახასიათებელი თავისებური რიტმი.

ეს წიგნი კარგი საჩუქარია ბავშვებისათვის.

3. თორღვა, მ. ხენგელი





## არის თუ არა მცენარეულობა მარსზე

მარსზე არსებობს მცენარეულობა. არის კიდევ განსაკუთრებული მეცნიერებები—ასტრობოტანიკა, რომელიც შეისწავლის ამ მცენარეულობას, ასტრობოტანიკა შექმნილია საბჭოთა მეცნიერის გ. ა. ტიხოვის მიერ.

მრავალი წლის განმავლობაში მეცნიერები ამჩნევდნენ ერთგვარ ლაქებს მარსზე, მაგრამ ვერაფერ შესძლო იმის განსაზღვრა, თუ რა ლაქა იყო ის. და ეს იმტომ, რომ ფოტოგრაფიულ ლაქების მოსაზრება ბუნდოვანი და გაურკვეველი სჩანდა. აღერბო, ოდნავაგაპივირავალ ბურუსი ფარავდა ლაქას ფოტოაპარატის ობიექტივისაგან. ეს ბურუსი—სქელი ფენაა პლანეტისა, რომელიც ხელს უშლის ანაბრატს ნათლად „დაინახოს“ შორეული საგანი. ფოტოგრაფებმა იციან თუ როგორ ებრძოლონ ასეთ დამბრკა-

ბას: ისინი ობიექტივს აფარებენ ყვითელ შინას, ღურჯი სივები ვერ გადიან ყვითელ ფილტრში, და სურათიც ნათელი გამოდის.

ტიხოვმა გადაიღო მარსის სურათი სტეოფილტრის საშუალებით, და მან შესძლო იმის დადგენა, რომ მარსზე ლაქები იცვლიან ფერს წელიწადის დროთა მიხედვით. გასაფხულზე მარსის ზღბეპირის უზარმაზარი ფართობი იწყებს ამწვანებას, შემდეგ მწვანე ფერი თანდათან მართალდება, ჩნდებიან ყავისფერი ლაქები და დიდი ყავისფერი „კუნძულები“. ტიხოვმა გააკეთა დასკვნა, რომ ეს არის მცენარეულობა, რომელიც მწვანდება გასაფხულზე და ყვითლდება შემოდგომაზე.

მაგრამ ტიხოვი არ შეჩერებულა ამაზე. იყენებს რა სხვადასხვა სვეტო-

ფილტრებს, სპექტროსკოპებსა და სხვა ხელსაწყოებს, იგი დაუღალავად აგროვებს ცნობებს მარსის მცენარეულობათა შესახებ და აფარდებს მას იმასთან, რაც ვიციო ჩვენ დედამიწის მცენარეულობათა შესახებ. ასე შესძლო მან დაებტყვიებინა, რომ მარსზე მცენარეულობა გავლენისგამტევი, რომ იქ არის მცენარეულობა, რომელიც როგორც ჩვენი წიწვოვანი ხეები, არ იცვლიან ფერს ზამთარში, რომ არის მცენარეულობა, რომელიც ჰპარავს ფოთლებს...

სულ უფრო და უფრო მეტს გებულობენ მეცნიერები მარსის მცენარეულობათა შესახებ, სულ უფრო ფერითვდება ასტრობოტანიკის დარგი, და წინანდებურად, ასტრობოტანიკის მოწინავე რაზმში არიან საბჭოთა მეცნიერები.

## იციო თუ არა თქვენ

...რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორიის სიგრძე ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე — ჩილენისაინის კონცხიდან ქალაქ კუშპამდე — 5 ათასმდე კილომეტრია, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთამდე — ქალაქ კალინინგრადიდან (ყოფ. კენიგსბერგი) დედნეის კონცხამდე — 12 ათასამდე კილომეტრია?

... რომ საბჭოთა კავშირის საზღვრების სიგრძე სიგრძე 60 ათას კილომეტრზე მეტია?

... რომ საბჭოთა კავშირის გარს ერტყმის 12 ზღვა (ბალტიის, შვედი, აზოვის, იაპონიის, ოხოტის, ბერინგის, ჩუკოტის, აღმოსავლეთ ციხობირის, ლაპტევიის, კარის, თეთრი, ბარენციის ზღვები)?

... რომ საბჭოთა კავშირის ვახლავდება 12 საბუნებისმეტყველო დასავლეთით — ნორვეგია, ფინეთი, პოლო-

ნეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი და რუმინეთი, სამხრეთით — თურქეთი, ირანი და ავღანეთი; აღმოსავლეთით — ჩინეთი, მონღოლეთის სახელმწიფო, რესპუბლიკა და კორეა?

... რომ ბერინგის სრუტით პირველად იპოვნაურა იაკუტებმა კასკი-მა სიონი ადრეუგმა, 1648 წელს, 60 წლით ადრე, სანამ ამ სრუტეს ბერიგე აღმოაჩინდა?

... რომ ყველაზე მაღალი ხის — ავსტრალიის ევკალიპტის სიმაღლე 135 მეტრს აღწევს. ე. ი. 30 სართულიანი სახლის სიმაღლისა?

... რომ ლურჯი ვეშაპის სიგრძე, დედის რძით 7 თვის კვების განმავლობაში 9 მეტრამდე იზრდება? რომ ამ „ჩივილი“ ვეშაპის სიღრმე მატულობს არა კოეფიციენტურად, არამედ საათობით: ასეთ ზრდას ხელს უწყობს ვეშაპის რძის ანაჩვეულებრივად დიდი სიმოყიერე.

როგორც ვაჩივნა ვეშაპისმოცველი ფლოტილის „სლავას“ მიერ წარმოებულმა გამოკვლევამ, — ლურჯი ვეშაპის რძეს აქვს 50 პროცენტი ცხიმი; მაშინ, როდესაც თანის ნოყიერებით ცნობადი ირის რძეს აქვს 24 პროცენტი ცხიმი, ხოლო კარგი ძროხის რძეს მხოლოდ 4 პროცენტი?

... რომ დღემდე მზეს მილიარდი ტონა აკლდება წონაში. ამ წონას იგი ჰპარავს გამოსხივებით. მაგრამ მზის მოცულობა იმდენად დიდია, რომ რამდენიმე მილიარდი წლის განმავლობაში მზის „გახლდომა“ გავლენას არ ახდენს დედამიწის ცხოველებზე?

... რომ წყლის დამწოვა ოკეანის ფსკერზე იმდენად ძლიერია, — გასროლილი ტუფიაც კი ვივარ შესძლებს თოფის ლულადან გამოსვლას?





პოლარულ ქვეყნებში ცხოვრობს ფრინველი პინგვინი. მას ძალიან უყვარს სეირნობა. შეგროვდება რამდენიმე პინგვინი და მიდიან სასეირნოდ, როდესაც შეხვდებიან სხვა მოსეირნე პინგვინების ჯგუფს, პირველი ჯგუფის მეთაური მისვალმება მათ, დაბლა დაუსრავს თავს, მეორე ჯგუფის მეთაურიც თავის დაკერით უპასუხებს და მერე გამორდებიან ერთმანეთს. თუ მუორე ჯგუფის მეთაურმა თავი არ დაუქრა, პირველი გაბრაზდება და შეუტებს უზრდელს. ატყდება ერთი ალიაქოთი, ყველანი მიესხვიან ერთმანეთს და ფრთებით ჩხუბობენ.



ერთხელ პინგვინებმა მაგრად დაბეგვეს ექსპედიციის ერთ-ერთი მეზღვაური, რომელმაც პინგვინების მეთაურს თავი არ დაუქრა. რაკი გაიგეს პინგვინების ეს ჩვეულება, პოლარული ექსპედიციის წევრები „ზრდილობიანად“ ეტყვიან მათ — როდესაც შეხვდებიან პინგვინებს უსათუოდ თავს დაუქრავენ. რესპუბლიკის სახალხო არტისტს ე. გ. დუროვს აზუქეს პინგვინი. დუროვის ძველი გაწოთვილი ძაღლები, კატები და თუთიყუშები მტრულად შეხვდნენ პინგვინს, მაგრამ გულგრილმა პინგვინმა აიძულა ისინი პატუი ეცათ მისთვის. პინგვინი მაინცდამაინც დიდი მიხედროლობისა არ არის. მისი გაწოთვნი შეტად მხელია. მაგრამ დუროვმა ისარგებლა მისი ბიოლოგიური მონაცემებით და ზოგი რამ შეასწავლა. მაგალითად იგი ეტყვავს ვალსს, საილიის წინ რეკავს ზარს და ფრთებით ტაშს უქრავს. პინგვინი იყვებება თევზით.

შ ი ნ ა ა რ ს ი


ვ. ვარდიაშვილი — დამწვეთ ცოდნის წყაროს (წერილი)	1	ბ. გ. გოგიაშვილი — აწერილდა სკოლის ზარის (ლექსი)	2	ვ. თურული — რთველი (ლექსი)	2	დ. ძიძაძე — პატარა გმირები (მოთხრობა)	3	ბ. ხაინილი — მშობლური სკოლა (ნარკვევი)	7	ლ. მრავალშვილი — ერთი მესანტრე ვიყავი (ლექსი)	9	პ. კუნიხი — აჩრდილი (მოთხრობა, თარგმანი ქ. ჭანტურიშვილისა)	10	ა. სურგულაძე — სასულეანი ტრადიციის ქარხანა (წერილი)	13	ბ. დემეტრაძე — მამაცი ქართველი ალპინისტები (ნარკვევი)	15	ი. გოცირიძე — თეთრი დათვის ნამზობა (მოთხრობა)	18	ბ. ლუავა — სამეორის ველიდან (ლექსი)	21	მამუთი მაკაი — თურქი მასწავლებლის ჩანაწერები	23	ი. სიხარულაძე — თითების დავა (ლექსი)	25	მ. აგლაძე — მეგობრობა (ნარკვევი)	27	ლ. ქვიციანიძე — ნიჭით და შრომით (წერილი)	29	ვ. თორღვა, შ. შენგელი — კარგი საჩუქარი ნორჩ მკითხველს (წერილი)	30	ცნობისმოყვარეობა კუთხ	31	ა. ტბარაძე — ქალბავ — გარეყანის მე-3 გარეყანის პირველი გვერდის მხატვრობა — პირველი გაკეთილი — ევთენის მხატვარ ა. ვიფხვაძეს.	
---	---	--	---	----------------------------	---	---------------------------------------	---	--	---	---	---	--	----	---	----	---	----	---	----	-------------------------------------	----	--	----	--------------------------------------	----	----------------------------------	----	--	----	--	----	-----------------------	----	---	--

ბრეჟღეფთი ბ. ქაზახნიძე. საბრეჟღეფთი ვოლფგია: ე. აზლაძე, ღ. გვრიტიშვილი, ვ. მარდიაშვილი, ბ. თაყაიშვილი, მ. მარჩუანი, მ. მირიანაშვილი, ო. ნოსხაძე, ზ. შინგელი. პასუხისმგებელი მდიანი ვ. თორღვა. სასაჯავბო ბრეჟღეფთი ბ. ფიცინიშვილი.

ბრეჟღეფთის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელ. 3-81-85

ფე 16417 ტირაჟი 7000 გამოცემლობის შვევ. № 101 სტამბის შვევ. № 1445  
 ღ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიკომპანია „კომუნისტო“, ლენინის ქ. № 14  
 თურნლის გარეყანი დაბეჭდილია „ზარია ვოსტოკას“ ოფსეტ-მანქანაზე.





## ქ ი შ ი, შ ა მ ა თ ი, ფ ა თ ი


როგორც უკვე ჩვენნი ვერნალის მეოთხე ნომერში აღვნიშნეთ, ჭადრაკის ბრძოლის შინაარსი მდგომარეობის მოწინააღმდეგის მეფის დაღუპვაში და საყუთარის გადარჩენაში.

როცა ერთერთი მოწინააღმდეგის რამდენიმე ფიგურა მიზანში იღებს მოწინააღმდეგის მეფეს, მაშინ, თამაშის წესების თანახმად, დამმუქრებელმა მხარემ უნდა გამოუცხადოს მოწინააღმდეგის ქიში. მოწინააღმდეგე კი უნდა დაიცოს საყუთარი მეფე.

აქ შევების მეფეს გამოცხადებული აქვს ქიში. შევებს არა აქვს მისი დაცვის არცერთი საშუალება, ე. ი. მათ არ შეუძლიათ გადაიყვანონ მეფე სხვა უჯრედზე, მათ არ გააჩნიათ სხვა ფიგურა, რომელიც მეფეს ჩამოეფარება და ააიკლებს მას მოწინააღმდეგის ფიგურის მუქარას. შევებს არ გააჩნიათ საშუალება მოწინააღმდეგის დამმუქრებელი ფიგურის აღების. ამრიგად შევი მეფე დამშავთუბულია და მათი პარტიაც წაგებულა.


### ქ ი შ ი

(დიაგრამა № 1)



### ფ ა თ ი


(დიაგრამა № 3)



აქ შეე მეფეს გამოცხადებული აქვს ქიში ტერით. შევებს შეუძლიათ დაიციან საყუთარი მეფე შემდეგი საში ხერხით: 1. გადაიყვანონ მეფე სხვა უჯრედზე, 2. ჩამოაფარონ მეფეს რომელიმე საყუთარი ფიგურა, ან კიდევ მოსონ დამმუქრებელი ფიგურა.

### შ ა მ ა თ ი

(დიაგრამა № 2)



ან მდგომარეობაში დე უჯრედზე მდგარ შეე მეფეს არა აქვს გამოცხადებული ქიში, ე. ი. სადაც თვით დგას იმ უჯრედს არც ერთი მოწინააღმდეგის ფიგურა არ ემუქრება, მაგრამ მათი სვლის რიგია და მათ სვლაც არა აქვთ, რადგან: როგორც ვიცით მეფეს არ შეუძლია დამმუქრებელი უჯრედზე გადასვლა, მის დამცველ ფიგურასაც არა აქვს უფლება გადაადგილდეს და დასტოვოს მეფე დარტყმის ქვეშ.

ასეთ მდგომარეობას საჭადრაკო ლიტერატურაში ფათი ეწოდება. ფათის შემთხვევაში პარტიის შედეგი ყამია.

პ. მარალიძე,

სსრ კავშირის სპორტის ოსტატი



/// / 468

МЕТОДЫ ВВЕДЕНИЯ  
ВЕТНИКА  
1 12  
საქართველოს  
ფილმების



დაიწყო პირველი გაკვეთილი, თბილისის მე-19-ტე ვაჟთა საშუალო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლეები მონდომებით შეუდგნენ ქართულ წერას. თემა ასეთია: „როგორ გავატარე წაფხული“.